საერთო გაზეთი

№45 (550) • 25 დეკემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ღია წერილი

აშშ-ს ადმინისტრაციას და აშშ-ს ელჩს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში, დიპკორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს

ბატონებო!

თქვენ გეხსომებათ ხიჩკოკის გენიალური ფილმი „ჩიტები“, სადაც ბოროტი, „ბარბაროსი“ ფრინველები პირდაპირ ანადგურებენ ადამიანთა მოდგმას, მათ ცივილიზაციას. „ჩიტების“ ეს მისტიკური იერიში საშინელი კატასტროფით თავდება – ჯოჯოხეთად აქცევენ ქვეყანას...

ნაცების ხროვა სწორედ ხიჩკოკის ჩიტებივით დაესხნენ ჩვენი ერის საარსებო სივრცეს (სულიერს და მატერიალურს განურჩევლად) და გამოხრეს...

ერთ უცნაურ მაგალითსაც მოვიყვან: როდესაც ჩინეთს ბეღურებმა გადაუფრინეს და მოსავალი გაუნადგურეს, მილიონი ჩინელი გამოვიდა დაფდაფებით: ეს იყო საოცარი აჯანყება ბეღურების წინააღმდეგ, ბეღურებმა ჩამოსაჯდომი ადგილი ვერ ნახეს და გულგახეთქილი დაცვივდნენ მიწაზე!

ჩინელებმა მშვიდად აკრიბეს ბეღურები და გემრიელი კერძები მოამზადეს!..

ახლა ჩვენ როგორ მოვიქცეთ, ბატონებო, როდესაც ჩვენი სიმცირის გამო არც ძალა გვყოფნის და არც რაოდენობა, გნებავთ, „ხიჩკოკის ჩიტების“ და თუნდაც „ბეღურების“ მოსაგერიებლად...

და მით უფრო, ჩვენდა სამწუხაროდ, სააკაშვილი და მისი ხროვა არც „ჩიტები“ აღმოჩნდნენ და არც ბეღურები. ისინი კაციჭამია ვირთხებად და ფოლკნერის შეღებილ ჯორებად იქცნენ და როდესაც ჩვენ მათი მოგერიება ვცადეთ, საკუთარი მფარველების კალთას (ქოლგებს) შეაფარეს თავი. ანუ ევროპა და ამერიკა გამოდგა ამ გამოყვანილი (კლონირებული) ტირანი ჰიბრიდების პატრონი, საკუთარი ხალხის განადგურება რომ შეუძლიათ!

●

ბოდიშის მოხდით გეტყვით, ჩვენ არა ვართ ის ველური ტომი, საკუთარ მიცვალებულებს ხეებზე რომ კიდებენ „ყვავების“ საჯიჯგნად, ანდა საკუთარი მკვდრების საფლავებზე როკავენ. სააკაშვილი სწორედ ასე მოიქცა: მან მიატოვა მისივე პროვოცირებულ „ომებში“ ჩახოცილი მეომრები და ღორების საჯიჯგნად გაწირა – თქვენ გინახავთ ბრძოლის ველიდან გაქცეული „სარდალი“, ჯერ მიწას რომ თხრის ცხვირით, მერე კი საკუთარ მიცვალებულთა გვამებზე კონცერტებს მართავს და რუსეთთან თითქოსდა მოგებული ომის სპექტაკლს (იმიტაციას) დირიჟორობს?! ჩვენ ვნახეთ ეს მწარე, სამარცხვინო სპექტაკლი, რომელიც სააკაშვილმა დადგა. იგი და მისი ხროვა შეეცადა შიმშილში და ციხეებში ჩაეხშო ერის სული და გაუგონარი ძალადობით, საფლავებაკიდებული გაედევნა საკუთარი სამშობლოდან – მან ეს ნაწილობრივ შეძლო კიდეც! – პირველად 5000-წლოვანი ისტორიის მანძილზე, აბორიგენი ერი (რომელსაც ფეხი არ მოუცვლია საკუთარი მიწიდან) ლტოლვოლად და მოხეტიალე ტომად იქცა... 2 მილიონი ქართველი აყრილია საკუთარი სამშობლოდან...

გვეჩვენება, რომ ეს ურთულესი მოვლენა, რომელიც ბედისწერულია ჩვენი ერისთვის, რატომღაც თქვენი ყურადღების მიღმა რჩება!..

●

მიგვაჩნია, რომ სრულიად დაუცველია ჩვენი ერი და მისი კულტურა: რომელმაც უძველესი დამწერლობა (ანბანი) შექმნა; ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე (III ს.ძვ.წ.), ფარნავაზის დროს ჰქონდა განვითარებული მწიგნობრული სახელმწიფო, ხოლო ადრე შუასაუკუნეთა რენესანსი გენიალური „ვეფხისტყაოსნით“ (დედამიწის ზურგზე უბადლო წიგნით) გაასრულა... (დაგვირგვინა).

აქვე ვიტყვით: შეურაცხმყოფელია (უსამართლოა) ქვეყნისთვის და ყველა ჩვენგანისთვის, როდესაც ევროპიდან და ამერიკიდან დემოკრატიის არქონას, ან ტოლერანტობის ნაკლებობას გვიკიჟინებენ!

ჩვენმა მეფემ და დედოფალმა თამარმა XII საუკუნეში შექმნა პირველი საპარლამენტო დემოკრატიული, ეგალიტარული სახელმწიფო მსოფლიოში!

მანვე გააუქმა ქვეყანაში სიკვდილით დასჯა...

მაშ, რატომ გვასწავლიან და გვიკითხავენ დემოკრატიის, გენდერული თანასწორობის, ტოლერანტობის ლექციებს ევრო-ამერიკელი სნობები?!

ნუ გვასწავლიან იმაზე მეტს, რაც საჭიროა და იმას, რაც უკვე დიდი ხანია ვიცით. ჩვენ არა ვართ პაპუასები, არც კხმერები და ფაშისტები, ჩვენს ქვეყანაში არასოდეს უდევნიათ ეთნიკური უმცირესობანი. სწორედ ახლა ებრაელები ქართველებთან 3000-წლოვანი ურთიერთობის იუბილეს (დღესასწაულს) იხდიან – ეს ყველასთვის სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს!

●

სამწუხაროდ, ახლა აშშ და ევროპა აღშფოთებული და შეშფოთებული ბრძანდებით იმის გამო, რომ თითქოს საქართველოში დემოკრატია საფრთხეშია!

ქართველი ხალხი კი აღშფოთებული იყო თქვენი დუმილით მაშინ, როდესაც საქართველოს XXI საუკუნის „ჰიქსოსების“ ბანდა არბევდა, აწამებდა და აუპატიურებდა, მიტინგებს სისხლში ახშობდა, ტელეკომპანიებს სპეცრაზმებით არბევდა.

3 გვ. →

გაზეთი გაზეთში!

სხვა დრო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის გაზეთი

№5. 25 დეკემბერი, 2019 წ.

ელიზბარ ჯაველიძე

მწერლობისა და კულტურის სიკვდილი ერის სიკვდილს ნიშნავს

გვესაუბრება მწერალი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე:

– ბატონო ელიზბარ, ნათქვამია: როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები დუმანო. ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარება, მიგვავიწყა სულიერება, ხელოვნება, მწერლობა. დამოუკიდებლობის მიღების შემდგომ საქართველოში მოკვდა კინოც, თეატრიც, წიგნსაც აღარავინ კითხულობს. განვითარების ნაცვლად, ამ სფეროს, დეგრადაცია მივიღეთ. რით აიხსნება ყოველივე?

– როცა ზარბაზნები ქუხან, ხოლო პოეზია, ხელოვნება დუმს, ეს, გარკვეულ შემთხვევაში, ბუნებრივი მოვლენაა. თუმცა, პოეზია, ზოგადად, ხელოვნება სწორედ მაშინ არის საჭირო, როცა ერზე, ქვეყანაზე შეტევა ხორციელდება. თვალი გადავავლოთ ისტორიას: ქართული მწერლობა – ლექსი, პროზა უმძიმეს პერიოდებში თავის სიტყვას ამბობდა. ჩვენს ცხოვრებაში მწერლობა სარწმუნოებასთან ერთად გაჩნდა, თუნდაც, „შუშანიკის წამება“. ქართულ ცნობიერებას ყოველთვის გასდევდა მოწამეობრივი ჟანრი, რათა არ დაგვიწყებოდა, რომ ჩვენ მორწმუნენი ვართ და ერს, ქვეყანას მხოლოდ მაშინ გადავარჩენთ, როცა სარწმუნოებას დავიცავთ. ეს გახლდათ ქართული ცნობიერების პრინციპი. გავიხსენოთ, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სადაც ნათქვამია: „ქართლად ფრიადი ქვეყანანი აღირაცხების, სადაც ქართულ ენაზე ლოცვა აღევლინების და ჟამი შეიწირვის...“ ეს გახლავთ ეროვნული თეზისი, რაც შუა საუკუნეების პერიოდს მანათობელივით ანათებდა. ეს ცნობიერება ქართველ კაცში ყოველთვის იყო და იგი იმისთვის იბრძოდა, რომ როგორმე ქართველი ერი გადაერჩინა. შორს რომ არ წავიდეთ, თვალნათლივ ჩანს: ქართული მწერლობა, განსაკუთრებით, მე-19-მე-20 საუკუნეებში ქართულ ცნობიერებას, ერის გადარჩენას ედგა სათავეში. პირადად, მე, ყველაზე დიდ ქართველად ილია ჭავჭავაძე მიმაჩნია, რომელმაც შექმნა მოდელი თუ როგორ უნდა ვიბრძოლოთ ქვეყნისა და ერის გადარჩენისათვის. ახალი ველოსიპედების გამოგონება საჭირო არ არის. ეს, პირდაპირ, ეროვნული კოდექსია თუ როგორ უნდა იცხოვროს ქართველმა კაცმა. ილიას სურდა ხალხში, როგორმე, ის ძველი ცივილიზაცია გაეღვიძებინა, რაც ოდითგანვე გვქონდა. ევროპის წინარეცივილიზაცია ქართველი ხალხის, ჩვენი წინარე ტომების – შუმერებისაა. ამის შესახებ მიხაკო წერეთლიც წერს. ამ კულტურის დავიწყება არ შეიძლება. ილია დარდობდა იმას, რომ კულტურა ჩაკლეს. იგი ამბობდა: კულტურის სიკვდილი ერის სიკვდილს ნიშნავსო. კულტურაში, ილია ჭავჭავაძე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართულ მწერლობას გულისხმობდა. ამიტომაც, მას, დღემდე ებრძვის ეს ბნელი წარმომავლობის ხალხი. ვინ გაიცხა პირველმა ილია ჭავჭავაძე? – ე.წ. პატრიოტმა „რესპუბლიკელებმა“, ხომ. დიახ, დღეს კაცობრიობა ივიწყებს, რაზეც დგას – ფესვებს, წარსულს და ახალსაც ვეღარაფერს ქმნის. ბერძენიშვილები გვეუბნებიან: რა პოეტია ილია, ვაჟა. ისინი უარყოფენ ქართულ კულტურას. დიახ, ბერძენიშვილმა, ილია როგორც მწერალი, დაგვიწუნა და მის აზროვნებასაც კბილი გაჰკრა. რატომ? – იმიტომ, რომ ილია ჩვენი სულიერების საყრდენია. ილია ამბობდა: ლიბერალი ვარ, მაგრამ ეს

იმისთვის მჭირდება, რომ ჩემი სამშობლო დავიცვა, გადავარჩინოო. დღეს, ჩემო ძვირფასო და გონიერო ადამიანო, ყველაფერი პირიქით ხდება. დღევანდელი გლობალური პოლიტიკის ძირითადი მიზანი ის არის, რომ მცირე ერები მოისპონ, განსაკუთრებით, მიზანმიმართულად ებრძვიან საქართველოს, რამეთუ, იგი ერთ-ერთი უძველესი კულტურის, ცნობიერების კერაა. ბრძოლა სწორედ ქართული მწერლობის, განათლების მიმართ დაიწყეს. დღეს, რა გვაქვს ხელთ? თქვენ, ამბობთ: კომუნისტების დროს შედევრები იქმნებოდაო. ეს იმიტომ, რომ კომუნისტების დროს სამშობლოს სიყვარული წინა პლანზე იყო წამოწეული, რასაც ბავშვს სკოლიდანვე უნერგავდნენ. ჩვენ, ასე გაგვზარდეს. უნივერსიტეტში გვასწავლიდა ლეო მენაბდე, რომელმაც ყველა ტაძარი, ციხე-სიმაგრე ფეხით მოგვატარა და ამ მიწას მოგვაფერებინა. აი, ეს არის სამშობლოს სიყვარული და არა ის ინგლისურის სასწავლებლად უცხოეთში რომ დარბიან, ვითომ, უფრო დიდი განათლების მისაღებად. ჩვენ ყოველთვის განათლებული ერი ვიყავით და ასეთადაც დავრჩებით. განათლება ქართველი კაცის ნიჭიერებით არის განპირობებული. გარკვეული ხანი გერმანიაში ვცხოვრობდი. იქ, ქართველი სტუდენტები გამორჩეულნი იყვნენ. ცნობილი გერმანული უნივერსიტეტის ერთ-ერთმა პროფესორმა თქვა: ჩვენ, ასეთი აზროვნება არ გვაქვს და ქართველ ხალხს უნდა მივხედოთო. აქედან გამომდინარე, გვინდა თუ არა ლიტერატურაზე საუბრისას პოლიტიკას ვეხებით ანუ, იმ ვითარებას, რაშიც დღეს ქართული მწერლობა აღმოჩნდა. ჩვენ უდიდესი მწერლები გვყავდა რომელთა აუგის სახსენებლად ენა ვერ მობრუნდება. ასეთები იყვნენ პოეზიაში: გალაკტიონი, გოგლა ლეონიძე, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა. ისინი ხომ ნიჭიერების მარგალიტები იყვნენ. ვაჟა ამბობდა: „ღმერთო სამშობლო გვიცოცხლე, დღედაღამ ამას ვდუდუნებო“. ეს პრინციპი, საერთოდ, დაიკარგა. მწერლებს შეგნებულად, მიზანმიმართულად „მწერალთა სახლი“ გამოაცალეს. ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ ხდებოდა. საბაბად დაასახელეს: ეს ნაცისტური ორგანიზაციაა, რომელიც აზროვნების სტრუქტურას ანგრევსო. კომუნისტების დროს, როდესაც „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გახლდით, გამაფრთხილეს: ყველაფერზე თვალს დავხუჭავთ, ოღონდ, ეროვნულ პრობლემაზე ყურადღების ზედმეტად გამახვილებას არ გაპატიებთო. ვუპასუხე: ეს, „ლიტერატურული საქართველოა“ და ჩემი მთავარი მიზანი ეროვნული პრობლემების წინ წამოწევაა-მეთქი. ყველა გაზეთში სადაც კი მუშაობა მომიწია, ვერ ნახავთ საკითხს, რომელიც მწერლების პრობლემას არ ეხებოდა. კომუნისტების დროს, მიუხედავად იმისა, რომ პარტიული წნეხი არსებობდა, მაინც ხერხდებოდა ეროვნულ თემებზე საუბარი. კომუნისტები, შინაგანად, პატრიოტები, მორწმუნენი იყვნენ. მაშინ, გამოდიოდა უამრავი ჟურნალი: „ცისკარი“, „მნათობი“ და ა.შ. ასევე, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“. მაშინ, ყველა პოეტს შეეძლო წიგნის დაბეჭდვა. ამიტომაც, „დათა თუთაშხია“, „თეთრი ბაირაღები“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და სხვა მრავალი ხელის გულზე იდო.

– ბატონო ელიზბარ, დღევანდელ მწერლობას კიდევ ერთი უბედურება სჭირს – პრაქტიკულად, არ არსებობს პროფესიონალი შემფასებელი, კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, რომელიც ნაწარმოების ხარისხს, მის მნიშვნელობას დაადგენს. თქვენ დროს, ამ მხრივ, რა ვითარება იყო?

– დიახ, გარკვეული პერიოდი პირადად, მე, გახლდით ჟურნალი – „კრიტიკა“-ს რედაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა კრიტიკულ აზროვნებას, აშუქებდა და განიხილავდა ქართული ცნობიერებისათვის საჭირო პრობლემებს. დაუნდობლობა იყო იმ გაგებით, რომ სიმართლე ითქმებოდა. პირადად, მე, ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ გავაკრიტიკე. ვთქვი: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მერე, ასეთი ნაწარმოების დაწერა ნოდარ დუმბაძეს არ ეკადრებამეთქი, რაზეც ერთი ამბავი ატყდა. დღეს, ქართული მწერლობა მკვდარია. ჯერ ერთი მწერლებს „მწერალთა სახლი“ ჩამოართვეს, სადაც ქართული მწერლობის ელიტა იკრიბებოდა და იქ, დიდი ეროვნული პრობლემები წყდებოდა. სად გაქრა, დღეს, ეს ყველაფერი? ყველაფერი გააჩანაგეს იმიტომ, რომ ქართული მწერლობა აღარ უნდათ. ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა რომ მოაწყვეს, ვინ, რომელმა მწერლებმა წარადგინეს საქართველო? – ბოდიში მომითხოვია, მაგრამ გერმანიაში ის მწერლები წაიყვანეს, რომელთაც საკუთარ დედაზე ერექცია აქვთ. ცნობილი მწერალი იყო ვინმე? დღეს, ეს უწიგნური ტიტლიკანა ქალბატონები, ქალობისკენ მიდრეკილი კაცები ტელე-ეკრანებიდან თავიანთ „ღვაწლზე“ საუბრობენ. სინამდვილეში, ქართული მწერლობა არის უდიდესი გენიოსები – ილია, აკაკი, ვაჟა. არცერთი მათგანის წიგნი ფრანკფურტში არ გაუტანიათ. სამაგიეროდ, „საბას“ პრემიის ლაურეატები წაიყვანეს, რომელთაც ხაზარაძე აფინანსებს. მისი დაფინანსებული მწერლები ის კატეგორიაა, რომლებიც ცდილობენ ადამიანი სულიერად გარყვნან. ეს ხომ სოროსის პროგრამაა. მთავარი თეზისია როგორ უნდა გადაგვარდეს ქართველი კაცი. გადაგვარება სკოლის განათლებიდან დაიწყეს, მერე მიადგნენ უნივერსიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას. დღეს მეცნიერება სულს ღაფავს. განათლება მეცნიერების გარეშე არ არსებობს. ეს ყველაფერი მიმართულია იქეთკენ, რომ ქართველმა ხალხმა დაკარგოს კულტურა, განათლება, მეცნიერება და რაც მთავარია ამ მიზნის მისაღწევად მწერლობას ადუმებენ.

ვინ არის ადამიანი? – მოაზროვნე არსება, რითაც ცხოველისგან განსხვავდება. ამიტომ ამბობს უფალი: სული შთავბერეო, რაც ადამიანის გაცოცხლებას ნიშნავს. დღეს, ამ სულის მოსპობა უნდათ და კიდეც სპობენ, შედეგს მიაღწიეს. კარგად მახსოვს, ახალგაზრდა მწერლები როგორ იწყებდნენ „ცისკარში“ მოღვაწეობას. დღეს, არავითარი კრიტიკა აღარ არსებობს – ვისაც რა უნდა, იმას ბეჭდავს. ამიტომაც იბეჭდება უამრავი უაზრო წიგნი. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სკოლის სახელმძღვანელოებს გადავხედოთ. თავზარდამცემია, რაც იქ ხდება. ყველაფერი კეთდება, რათა ბავშვს მშვენიერებისა და სილამაზისკენ მისწრაფება ჩაუხშონ.

– როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი, რა მიზანს ემსახურება?

– ბევრი მიფიქრია, რატომ ხდება ასე? – ეს არის მიზანმიმართულად ქართველი ერის სულის მოკვლა. ადამიანი შედგება სულისა და სხეულისგან. მოვლა ორივე მათგანს სჭირდება. სხეული სულის მფარველია, მაგრამ სული სხეულის მაცოცხლებელია. როგორც კი სული იღუპება, სხეული გვამი ხდება. ამათ უნდათ გვამად გვაქციონ, სხვა მიზანი აქ, არ არსებობს. გვამად ქცევის პროცესში, რა თქმა უნდა, ხელოვნებაც, ლიტერატურაც, პოეზიაც, მუსიკაც, ცეკვაც, სიმღერაც, მხატვრობაც, ხელისშემშლელია. ყველაფერი ქართული, გუდიაშვილი იქნება ეს თუ სხვა, ამათთვის მიუღებელია. იმიტომ, რომ ეს, უკვე, ქართული სულიერების, ჩვენი ჯიშისა და გენის გამოხატვას ნიშნავს. დღეს, ილიას ტრიადა – ენა, მამული, სარწმუნოება, დიდი დარტყმის ქვეშ არის. მამულს,

სამშობლოს აღარავინ ახსენებს. რამდენი წელიწადია სიტყვა – სამშობლო პარლამენტში არ გამიგია. თუ გაუჭირდებათ, მაშინ წამოიყვირებენ-ხოლმე. გავრილოვის თემასთან დაკავშირებით ერთი ამბავი ატეხეს, ვითომ, პატრიოტები გამომივიდნენ. გასაოცარია, ხალხს რომელთაც ქვეყანა სძულთ, ბავშვები გამოჰყავთ და საქართველო, საქართველოს აყვირებენ. ამ ბავშვებს წარმოდგენა არ აქვთ რა არის საქართველო და რა არის სამშობლო. აი, ეს არის ტრაგედია.

– პოლიტიკოსები თავგამოდებით გაჰყვირიან: ყველა გზა ევროპისკენ მიდისო.

– კი, ახლა, ყვირიან: ევროპისკენ მივდივართ, ჩვენ ევროპა ვართო. ევროპა კი არ ვართ, არამედ ძირისძირი. ჩვენ ვართ უწინარესი კულტურა. ევროპის კულტურა მერე შეიქმნა. ევანგელეს რომ ვთარგმნიდით, მაშინ გერმანელები და სხვა ერები ტყეში დარბოდნენ. კი ბატონო, ევროპა დიდი კულტურის ქვეყანაა, მაგრამ არსებობს ორი ევროპა – ძველი, რომელიც არის კულტურის ევროპა, რომელსაც ეს მავნეები არ იცნობენ. ვინც გაჰკივის: ევროპისკენ მივდივართო, დარწმუნებული ვარ არც თომას მანი წაუკითხავს, არც რილკე, არც გოეთე. არსებობს წიგნი „ევროპის სიკვდილი“, სადაც გადმოცემულია როგორ დაანგრიეს ევროპის კულტურა ამ ე.წ. ლიბერალებმა. ეს არის დანგრეული კულტურა, რისი ცოდნა და გათავისება, აუცილებლად, გვმართებს. ესენი ყველაფერს სპობენ. ჩვენ როგორც კულტრულმა ხალხმა, ევროპის კულტურა უნდა გადავარჩინოთ. მაგრამ, მეორე მხრივ, არის ე.წ. თავისუფლების პრინციპი. ხშირად მომიყვანია მაგალითი ადამიანსა და მაიმუნზე. დადგინდა, რომ ადამიანი აზროვნების უნარით მაღლა დგას, მაგრამ მაიმუნი უფრო ბედნიერია იმიტომ, რომ მას აქვს თავისუფლება და შეუძლია იცხოვროს დედასთან, მამასთან, შვილთან. ამის მაგალითები დღეს ე.წ. ევროპაში უამრავი არსებობს. აი, საით მივყავართ დღევანდელ გლობალურ ტალღას, ანუ, იქეთკენ, რომ ვაღიაროთ: ეს პიდარასტები, რომელთაც ლგბტ-ს ეძახიან, თურმე, ყველაზე მაღალი ფენაა, მათ არაფერი არ უნდა დაუშავდეთ, პირიქით, უნდა ვეფეროთ. ამ ყველაფრის მოწინააღმდეგე ქართველი კი, თურმე, ჩამორჩენილი, შუა საუკუნეების კულტურაშია ჩარჩენილი. ეს არის მთელი უბედურება. ახლახან, თბილისში ევროპის დღეები აღინიშნა, რასაც პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ძალიან მომეწონა ორი ადამიანის გამოსვლა – ბატონი ბიძინა ივანიშვილის და გიორგი გახარიასი, რომელთაც თქვეს: ჩვენთვის ევროპული კულტურა მაშინ არის მისაღები, როდესაც ქართველობას არ დავკარგავთ. მეტიც, როდესაც ჩვენ ევროპისკენ ვიხედებით უნდა გვქონდეს ღირსების გრძნობა, გავაცნობიეროთ, რომ მაღალი კულტურის, ტრადიციების მქონე ქვეყანა ვართ, რომელმაც ევროპას, შეიძლება, ძალიან ბევრი რამ ვასწავლოთ – ადამიანის სიყვარული, მიმტევებლობა და ა.შ. ანუ, ყველაფერი ის, რაც ქართულ გენში არსებობს. აქ, უკვე, შეუტიეს უწმინდესს და სარწმუნოებას. ეს შემოტევა ელექტრო-სივრციდან ხორციელდება, სადაც მხოლოდ გარყვნილებას ქადაგებენ. ეს ანტისახელმწიფოებრივი მიდგომაა. ტელევიზიებს კულტურული ძეგლების გაშუქება კი არ აინტერესებთ, არამედ ბოდიში მომითხოვია და ვისი საცვალი, ნიფხავი ვის საწოლში აღმოჩნდა. ამის გაშუქებაში აქვთ ამ უწიგნურებს უზომო ხელფასები. მე, ასეთი გაუნათლებელი ჟურნალისტიკა არასდროს მახსოვს. საქართველოში ჟურნალისტიკის

სათავეებთან უგანათლებულესი ხალხი იდგა. ავიღოთ, თუნდაც, ილია ჭავჭავაძის „ივერია“, რომელსაც ბადალი არ ჰყავს. არსებობს გარკვეული გაზეთები – „საერთო გაზეთი“ და კიდევ რამდენიმე რომელიც ეროვნულ, პატრიოტულ ხაზს მიჰყვება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. კი, საზოგადოების ელიტარული ნაწილი აქეთკენ მიიღტვის, მაგრამ ვინც ამ პოლიტიკას წარმართავს, სამწუხაროდ, გაზეთს არაფრად მიიჩნევს. ღმერთმა ქნას, ახალგაზრდებში ისეთი ადამიანები გამოჩდნენ, ვინც ვაჟას ნაკვალევს მიჰყვება. შინაგანი კულტურა თუ ვინმეს ჰქონდა, ეს იყო ვაჟა-ფშაველა. ყველამ ვიცით, სადაც ცხოვრობდა. ახლა, მისი ხედვა და სივრცე სააკაშვილისას შევადაროთ, ეს ხომ შეუძლებელია. ხალხს ტვინი გამოურეცხეს, დააავადეს. დღესაც, სოროსის მატლებით, ე.წ. მიშისტებით არის სავსე „ილიაუნზე“ რომ აღარაფერი ვთქვა, უნივერსიტეტიც, „გე-პე-იც“ და სამეცნიერო დაწესებულებებიც, გარკვეულწილად, აკადემიაშიც არიან შემორჩენილნი, რომელთაც ქართული განათლება, კულტურა გაანადგურეს. არ მგონია, ნორმალურ ადამიანს პრეტენზია ან სურვილი ჰქონდეს, სააკაშვილის მოღვაწეობა დადებითად შეაფასოს. შევარდნაძემ დაიწყო ქართული ცნობიერების განადგურება და სააკაშვილმა ბოლომდე მოსპო. ეს არის მთელი უბედურება.

– ბატონო ელიზბარ, თქვენ აღნიშნეთ: ილია ყველაზე დიდი ქართველი იყოო. მის ლექსში: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“, კარგად ჩანს კონცეფცია, თუ რას უნდა ემსახურებოდეს მწერალი. ილიას დროს ყველა ერთ საქმეს ემსახურებოდა. სად გაქრა, ახლა, ეს ერთობა, სულისკვეთება?

– ეს ერთიანობა გამქრალია ყველა იმ მიზეზის გამო, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. სწორედ მწერლობის წინააღმდეგ დაიწყეს პირველად ბრძოლა ე.წ. „რესპუბლიკელებმა“ და ლიბერალებმა იმიტომ, რომ ის დიდი ძალა, რაც ერში არსებობს – ნიჭიერების გამოხატულება, სწორედ, მწერლობაშია. ჩვენ დიდი მეცნიერები, პოეტები გვყავდა. მუსხელიშვილმა ოთხ დიდ პიროვნებასთან ერთად გადაიღო სურათი, ერთ-ერთი გალაკტიონი იყო. მას გაცნობიერებული ჰქონდა, რომ დიდი მეცნიერი იყო, მაგრამ ისიც იცოდა: უფრო დიდი და საჭიროა ისეთი პოეტი, როგორიც გალაკტიონი იყო. ახლა, მწერლები შეგნებულად დააშორეს ერთმანეთს. განა, მწერლებს არ უნდა ჰქონდეთ ერთი სახლი, ჟურნალი, გაზეთი, რაც მათთვის საყრდენი იქნება. ეს არავის აინტერესებს, მათ მწერლების გამოცოცხლება არ აწყობთ. მადლობა ღმერთს, არსებობენ ძველი თაობის ნიჭიერი მწერლები, რომლებიც დღესაც ცოცხლები არიან, მაგრამ ერთი რამის მეშინია – როდესაც ეს თაობა წავა, შეგვრჩება ბატი-ბუტი, საპნის ბუშტი, რომელიც გასკდება.

დიდ მწერლებში მთავარი თემა სამშობლოს სიყვარული იყო. მუხრანს ისიც კი აქვს ნათქვამი: თუ საჭირო გახდება, შეიძლება, ღმერთზე მაღლა სამშობლო დავაყენოო. აი, ამ პრინციპით უნდა ცხოვრობდეს ყველა მწერალი.

„საერთო გაზეთმა“ იშვილა ლიტერატურული გაზეთი – „სხვა დრო“. ეს ძალიან დიდი საქმეა. „სხვა დროს“ დიდი ფუნქცია აკისრია, მაგრამ მხოლოდ ერთი გაზეთი უშველის იმ უბედურებას, რაც თავს გვაქვს დატეხილი? ეს საერთო საქმედ უნდა ვაქციოთ. დღეს ინფორმაციის საუკუნეა, რომელიც შეგნებულად არის

მიმართული ბნელისკენ. ყველა ადამიანის გონებას ბნელი გზით წარმართავენ. ერთი გაზეთი უშველის-თქო, ვიკითხე, მაგრამ როგორც იტყვიან: წვეთი, ხანდახან, საკმარისზე მეტია. ღმერთმა ქნას, ასე იყოს. დიდ საქმეს შეეჭიდეთ და წარმატებებს გისურვებთ. მე, ადრეც მოგილოცეთ ამ გაზეთის დაბადება. ეს ნაბიჯი ნამდვილად ქებას იმსახურებს. ოღონდ, ხელისუფლებამ თვალი უნდა გაახილოს და ქართულ მწერლობას გვერდით დაუდგეს, თუ უნდათ, რომ ქართველი ერი გადარჩეს. ასევე, მიხედონ მეცნიერებას. ეს ორივე უპატრონო ბავშვივით არის მიგდებული მაშინ, როცა ერთიც და მეორეც საუკუნეებს ითვლის. აი ეს არის მთავარი.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ღია წერილის აშშ-ს ადმინისტრაციას და აშშ-ს ელჩს, ევროკავშირის ელჩს საქართველოში, დიპკორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს

1 გვ.

თქვენ აღშფოთება არ გამოგითქვამთ არც მაშინ, როდესაც სააკაშვილი საკუთარი მიცვალებულების გვამებზე ცეკვავდა და ნულოვანი ტოლერანტობის ბრძანებებს გასცემდა პირდაპირ ტელევიზიიდან ხალხის ქუჩებში დასახვრეტად!

როდესაც სააკაშვილმა რუსეთთან ომის პროვოცირება შეძლო, დაკარგა ტერიტორიების 2/3 და ქვეყანა რუსეთის საოკუპაციო ჯარების ალყაში მოაქცია; პირწმინდად ჩააბარა ყველა თქვენს მიერ ნაბოძები ტექნიკა და იარაღი, არც მაშინ გამოგიხატავთ დიდი აღშფოთება არც თქვენ და არც იმ „საატელიტ“ ტელევიზიებს და არასამთავრობოებს, რომლებიც შიგნიდან ანგრევენ სახელმწიფოს და ჭილყვავებივით შეესივნენ ქვეყანას...

●

ახლა ჩვენი ერი ბიძინა ივანიშვილისა და ხალხის თავგანწირული პროტესტის მეოხებით რამდენადმე გათავისუფლდა ამ რეჟიმისგან, მაგრამ ქვეყანა ლამის მათ მიერ დანატოვარი უმძიმესი მემკვიდრეობის მძევლად იქცა. არაფერია თავის ადგილზე, ქვა ქვაზე არაა დატოვებული მათ მიერ, საკუთრებაჩამორთმეული, ერი აყრილი და განდევნილია საკუთარი სახლ-კარიდან; დაუძლეველია ადამიანთა ფსიქოლოგიური და მორალური სტრესის სიმძიმე – არც ნერონს, არც კალიგულას, არც ჰიტლერს მსგავსი ბარბაროსობა არ ჩაუდენია საკუთარი ხალხის წინააღმდეგ...

ახლა ეს ბოროტმოქმედნი დაუსჯელი დაპარპაშებენ ხელშეუხებლობისა და თქვენს მიერ თავსმოხვეული „კოაბიტაციური“ რეჟიმის მეოხებით...

●

ხშირად გამოხატავთ ხოლმე აღშფოთებას ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, მაგრამ არასდროს აღშფოთებულხართ „ნაცების“ ტირაჟირებულ ჭირს, მათი ტელევიზიების პროპაგანდას, პირდაპირ ანტისახელმწიფოებრივ კომპანიას, რომლებიც გადატრიალებისკენ მოუწოდებენ ნეგატიურ ძალებს და იმ მრავალ ათეულ არასამთავრობოებს, რომლებიც სახელმწიფოში „სახელმწიფოდ“ იქცნენ...

თქვენი სამართალი თქვენს სამშობლოში დაუშვებს ასეთ დაუსჯელობას და უსამართლობას, „კოაბიტაციის“ მსგავს გამოვლენას? არ დაუშვებთ თქვენ ამას! მაშ, რა ექსპერიმენტს გვიტარებთ ჩვენ, როგორც საცდელი კურდღლების ქვეყანას. გარწმუნებთ, რომ არ გამოგადგებით ჩვენ ასეთი ექსპერიმენტისთვის!

●

და მაინც, ყველაზე სახიფათო ის არის, რომ: საქართველო სააკაშვილმა პირდაპირ „დინოზავრების“ ბრძოლის პოლიგონზე შეაგდო – ეს მეტად საბედისწერო თამაშია ჩვენი ქვეყნისთვის... ასეთი პოლიტიკით XXI საუკუნეში შესაძლოა, ისევე გაქრეს კულტურული რასა, როგორც ოდესღაც გენიალური შუმერები...

სამწუხაროდ, საქართველო აღმოჩნდა არენაზე შეგდებული ხარის როლში, რომელსაც „წითელ ნაჭერს“ უფრიალებენ, რომ „ტორეადორის“ მახვილის მსხვერპლი გახდეს. ამ მზაკვრულ როლს ისევ და ისევ ნაცები ასრულებენ, რომ შემდეგ ყველაფერი ივანიშვილს ან ახვა ვინმეს გადააბრალონ! ჩვენ გვეჩვენება, რომ ეს გარემოებაც თქვენი ყურადღების მიღმა რჩება, ან არ თვლით არსებითად და თქვენთვის ბევრი რამ სულ ერთია?! მაშ, რა განაპირობებს ამ კაციჭამია ვირთხების მხარდაჭერას (რომლებიც არც დემოკრატები არიან და არც „ჰუმანოიდები“) ცივილიზებული ამერიკის და ევროპის მხრიდან?

დაბოლოს, არ გვინდა ჩამოგვიყალიბდეს „გონივრული ეჭვი“, რომ სააკაშვილი თქვენი „უძღები შვილია“ და ცდილობთ მის გადარჩენას ქართველი ერის საზიანოდ. ნუ გვიწყენთ, თუ გსაყვედურობთ ზოგ რამეს და გამოვთქვამთ ეჭვს: ამას ჩვენი სამშობლოს ბედისწერა და მისი გადარჩენის ინსტინქტი გვკარნახობს!

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ სხვა სამშობლო არ გაგვაჩნია, ეს არის ჩვენი „აღთქმული ქვეყანა“ ნაბოძები უფლის მიერ, აქა ვართ დასაბამიდან დღემდე: აქ ვკვდებით და ვიბადებით და აქ ვაპირებთ ყოფნას ჟამთა მოქცევამდე – ჩვენ წინაპართაგან დამკვიდრებულ კულტურულ-ისტორიულ სივრცეში – „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“ – ჩვენი ეს საკრალური დევიზი ყველამ უნდა გააცნობიეროს...

კობა არაბული
საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი.

P.S. წერილის ინგლისური თარგმანი გადაეგზავნებათ ზემოთხსენებულ წერილის ადრესატებს.

ვახტანგ ხარჩილავა

უდედოდ გაზრდილთა ჭრაგედია ანუ ზნეობის კრიზისი საქართველოში

საქართველოს პოლიტიკური კი არა ზნეობრივი პრობლემები უდგას, თუმცა ეს პრობლემები იმდენად არის პოლიტიკით შეფუთული და შენიღბული, ბევრს ჰგონია, რომ საქმე პოლიტიკურ პროცესებთან გვაქვს და ამ პროცესების ანალიზს და შესწავლას, როგორც იტყვიან, პოლიტიკურ ჭრილში ცდილობენ ანალიტიკოსები, ექსპერტები პოლიტოლოგები.

არადა, სინამდვილეში, პოლიტიკასთან ძალიან ცოტა რამ აქვს საერთო იმას, რაც ქვეყანაში ხდება.

საქართველოში სინამდვილეში პოლიტიკური კი არა ზნეობრივი სულიერი, მორალური კრიზისია, რაც გაცილებით დრამატული და ტრაგიკულია, ვიდრე პოლიტიკური კრიზისი.

აი, ამ კუთხით არავინ ცდილობს ამ მოვლენებს დააკვირდეს და სწორი დიაგნოზი დასვას.

თუმცა არც არავინაა დამკვირვებელი და დიაგნოზის დამსმელი.

ყველას პოლიტიკური ფონეიდოსკოპი აქვს მომარჯვებული და გულის ნაცვლად იმ ადგილს აყურადებს, სადაც უკანალია.

ზნედაცემულობის, გაუზრდელობის, უვიცობის, უპასუხისმგებლობის, უტიფრობის, უღირსობის, უთავმოყვარეობის, ყველაფრის კადრების ზეობაა დღევანდელ საქართველოში, რასაც მავანნი და მავანნი პოლიტიკას და პოლიტიკურ ცხოვრებას არქმევენ.

ყველას, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, მთელ ერს, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ, მაგრამ რაოდენობრივად იმდენად ბევრი უზნეო და უღირსი ადამიანი მოეძალა ქართველ საზოგადოებას, რომ ეს ძალა სახიფათო და საგანგაშო ძალად იქცა, რომელიც სერიოზულ გავლენას ახდენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

რა მოხდა, რატომ მოხდა ასე?

როგორც ჩანს, ათეული წლების განმავლობაში უჩინარი და უხილავი მტრის მიერ განხორციელებულმა თანმიმდევრულმა მიზანმიმართულმა შეტევამ ქართული ეროვნული ფასეულობებისა და ღირებულებების დეგრადაციისა და გადაგვარებისთვის, თავისი მწარე ნაყოფი უკვე გამოიღო.

ქართველი ერი უკვე არ ჰგავს თავის თავს, ის გადასხვაფერდა, გადაკეთდა, ზნე და ხასიათი იცვალა.

ერთხელ ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: იქ, სადაც ჩვეულებრივ, საყოველთაო მოხმარების ფრაზად იქცევა ფრაზა ჩემი დედა მოვტ...ან, აუცილებლად ითქმება მეორე ფრაზა: ჩემი სახელმწიფო მოვტ...ან!

დღეს, კოლექტიური დედის, ყველასთვის საერთო დედის, ქართული სახელმწიფოს, გაუპატიურების და გაბახების შემზარავი პროცესი მიდის.

ვინც ეს ფრაზა შემოგვიგდო თავის დროზე, მან შესანიშნავად იცოდა, რა გაგრძელებაც მოჰყვებოდა მას და როგორ გამოგვფიტავდა იგი შიგნიდან.

არა მარტო ეს ფრაზა, სხვა მრავალი უჩინარი ბაცილა და ვირუსი შემოგვაპარეს, რომლებიც დროთა განმავლობაში აუცილებლად ნელ-ნელა დაგვილპობდა სისხლს და იმ საფუძველს გამოგვაცლიდა, რაც აქამდე გვაძლევინებდა.

პირველი დარყმა, ყველაზე გამანადგურებელი და აპოკალიფსური, 90-იან წლებში განხორციელდა, როცა მოღალატე ქართველებმა მტერთან შეთანხმებით, მტრის წაქეზებით და ხელშეწყობით საკუთარი სამშობლო დაიპყრეს და მოაოხრეს.

აი, იმის შემდეგ უკუღმა წავიდა ქართველთა საქმე და კატასტროფული სიჩქარით დაიწყო ქართველთა დაპატარავება, დაჩიავება, დაბეჩავება.

– რუსებმა დაგვიპყრეს, რუსები არიან ოკუპანტებიო – წამოიძახებენ შიგადაშიგ და მკერდში მჯიღს ირტყამენ „პატრიოტი“ ქართველები, ის კი არ ახსოვთ, როგორ დაიპყრეს თვითონ საკუთარი ქვეყანა და როგორ გადაამტვრიეს ხერხემალში.

ის შინაური დამპყრობლები, ის შინაური ოკუპანტები, ჯერ თვითონ, მერე მათი ნაშიერები, მათი „სამართალმემკვიდრეები“, თავიანთ წინაპრებზე უფრო დიდი გველისწიწილები, 2012 წლის 1 ოქტომბრამდე თავზე ასხდნენ ამ ქვეყანას, ახლა კი 7 წლის ინტერვალის შემდეგ ისევ უკან აპირებენ მობრუნებას და საკუთარი სამშობლოს ხელმეორედ თუ ხელმესამედ დაპყრობას.

დიახ, დაპყრობას, დიახ, ოკუპაციას, თუმცა საქართველოსაც და დანარჩენ საქართველოსაც არწმუნებენ, რომ დემოკრატიული არჩევნების გზით, პატიოსნად და ცივილურად აპირებენ არჩევნებში გამარჯვებას.

მკვლელებს, ბანდიტებს, ყაჩაღებს, თვალთმაქცებს და ფარისევლებს, რომლებმაც საქართველო დააქციეს, კლავ საფიხვნოს თავში დაჯდომა სურთ მორჭმით, ხოლო ჩვენი პარტნიორები საერთაშორისო თანამეგობრობიდან იმის ცდაში არიან, ისეთი საარჩევნო სისტემა შეიქმნას, რომ ეს მკვლელები, ბანდიტები და ყაჩაღები როგორმე პარლამენტს გარეთ არ დარჩნენ და დემოკრატია არ დაობლდეს.

როგორი ცინიზმი და შეურაცხყოფაა ეს ყველაფერი ქართველი ხალხის მიმართ, როგორი აბუჩად აგდებაა და როგორი დისკრედიტაციაა თავად იმ უმნიშვნელოვანესი ღირებულებისთვის, რომელსაც დემოკრატია ჰქვია.

როგორც თავში ვთქვი, პოლიტიკური კი არა ზნეობრივი პრობლემებია დღეს საქართველოში, ეს ზნეობრივი პრობლემები კი მიზანმიმართულად, ნაბიჯ-ნაბიჯ იქმნებოდა იმ ძალების მიერ, რომლებმაც 90-იან წლებში საქართველო დაიპყრეს და ნადავლი დღემდე არ გაუშვიათ ხელიდან.

სწორედ ამ ძალებმა გააჩანაგეს და გაანადგურეს საქართველო, როგორც მატერიალურად, ასევე სულიერად – ჯერ ფიზიკურად დაამშიეს და დააძაბუნეს, შემდეგ კი ჩარეცხილეად გამოაცხადეს უმაღლესი კვალიფიკაციის ინტელიგენცია მეცნიერების სხვადასხვა დარგებიდან, ასპარეზიდან გააძევეს, დასცინეს და სიკვდილისთვის გაწირეს მწერლობა, თეატრის, კინოს, ხელოვნების სხვადასხვა სფეროების წარმომადგენლები, დაშალეს და გაანადგურეს საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, დაშალეს, გაყიდეს და გაანიავეს ფაბრიკები, ქარხნები, გააჩანაგეს ინფრასტრუქტურა, პირწმინდად გაძარცვეს მოსახლეობა-წაართვეს ანაბრები, მოტყუებით, დიდი მოგების დაპირებით, მათ მიერვე დაარსებული საფინანსო ორგანიზაციების საშუალებით ადამიანებს უკანასკნელ კაპიკებამდე ჯიბეებიდან ამოაცალეს ყველანაირი დანაზოგი, გაყიდეს, გააჩუქეს საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, გაასხვისეს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტები, მათი უშუალო მონაწილეობით პროვოცირებულ კონფლიქტებს ათიათასობით ადამიანი შეეწირა, ნახევარმილიონამდე ადამიანი ლტოლვილად იქცა, უამრავი ადამიანი ციხეში მოხვდა, უამრავი ადამიანი მოკლეს, აწამეს, დააყაჩაღეს, ქონება წაართვეს.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს, რომ საქართველო საქართველოს არ ჰგავს ეს ქართველი ლეგბს, ... დღეს ის არ არის, ვინც იყო და ვინც უნდა იყოს?

უკვე წამოიზარდნენ და ასპარეზზე გამოვიდნენ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასული მშობლების მიერ ბებიებისა და ბაბუებისთვის მიბარებული ბავშვები, უდედმამოდ გაზრდილები, რომლებსაც დედაც ჰყავთ, მამაც ჰყავთ, მაგრამ სინამდვილეში ობლები არიან.

ასევე წამოიზარდნენ და პოლიტიკურ ბატალიებში რიგით ჯარისკაცებად ჩაერთვნენ თავის დროზე სააკაშვილის „პიონერბანაკებში“ დატრენინგებული მოზარდები, რომლებსაც სააკაშვილი ბუჩქებისკენ უთითებდა ხოლმე „კვალიფიკაციის“ ასამაღლებლად.

ახლა ისინი ცდილობენ გვიკარნახონ ქვეყნის განვითარების ვექტორები, თუმცა აბსოლუტურად გაუნათლებლები, აბსოლუტურად უწიგნურები არიან და წარმოდგენა არა აქვთ იმ თემებზე, რაზეც ასე ხმამაღლა სკანდირებენ.

უსიყვარულობა, სიძულვილი, აგრესია, გაუნათლებლობა, პროვინციალიზმი, უტიფრობა, ურწმუნობა, უღმერთობა სუფევს დღევანდელ საქართველოში და იმის ნაცვლად, რომ სწორედ ამის გამო ვტეხდეთ განგაშს, ჩვენ ყველანი მაინც პოლიტიკაზე ვლაპარაკობთ, რადგან გვგონია, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკაა და ეს საკითხებიც პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ.

– ბავშვი დედამ უნდა გაზარდოს! – თქვა ბიძინა ივანიშვილმა იმ დროს, როცა ჩვენ გაცხარებული ვლაპარაკობდით პოლიტიკაზე და ეს ფრაზა იმდენად მოულოდნელი იყო და იმდენად დისონანსური ჟღერადობით შეიჭრა იგი ამ დებატებში, საზოგადოება ვერ მიხვდა, საერთოდ რა შუაში იყო ამ ფრაზის თქმა ამ პოლიტიკური დებატების კონტექსტში.

არადა, რაც ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ეს არის ბაზისი, ეს არის საწყისი ყოვლისა და ყველაფრისა, რაზეც უნდა დაშენდეს სახელმწიფო, პოლიტიკა, სამოქალაქო საზოგადოება, სულიერი და კულტურული ღირებულებები, ადამიანთა ცხოვრების წესი, ურთიერთპასუხისმგებლობის გრძნობა, თითეული მოქალაქის პერსონალური ვალდებულება და პასუხისმგებლობა სამშობლოს წინაშე.

როდესაც დედას ვამბობთ, ვგულისხმობთ არა მხოლოდ ბიოლოგიურ სუბიექტს, რომელმაც გვშობა და სიცოცხლე გვაჩუქა, არამედ ეს სიტყვა ერთად აერთიანებს ყველაფერს, რაც აუცილებელია იმისთვის, რომ ადამიანი სრულყოფილ, სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბდეს (აღიზარდოს).

დედაშია ყველაფერი თავმოყრილი და აკუმულირეული, რითაც კაცობრიობას აქამდე უცხოვრია.

დედის გარეშე, მწერლობის გარეშე, სულიერი ავტორიტეტების გარეშე, ღმერთის გარეშე, შევარდნაძის, სააკაშვილის და სააკაშვილისნაირების მიერ სიბნელეში გაზრდილი თაობები. ნელ-ნელა, დაგემოვნებით კლავენ დედას, რომელსაც სამშობლო ჰქვია და თანაც ამას ისე თავმომწონედ აკეთებენ, თითქოს რაღაც საამაყო საქმეს ჩადიოდნენ...

●

... ერთ კვირაში ახალი წელი დგება, მე კი საახალწლო განწყობით სავსე ოპტიმისტური წერილის ნაცვლად მწუხარე და ნაღვლიანი წერილი გამომივიდა, რისთვისაც ბოდიშს გიხდით, ძვირფასო მეგობრებო.

ახალი წელი ახალს ვერაფერს მოიტანს, თუ თვითონ ჩვენ არ განვახლდით და ახლებურად ცხოვრება და ახლებურად ფიქრი არ დავიწყეთ.

ყოფილიყოს 2020 წელი ქართველთა დიდი გამოფხიზლების წელი, ეშმაკთა, ავსულთა, საკუთარი დედის გამბახებელთა დამარცხების წელი.

ვერ გაიმარჯვოს მტერმა ჩვენზედა...

ლექსები

ვოთა ნიშნიანიძე

ნაფეხურები

ვიღაც წაიქცა ქუჩაში...თოვლში...
ამდენ ურჯულო მანქანებს შორის,
დაგვიანებით და სინანულით,
ერთი მანქანაც მოვარდა შორით
ღვთისნიერი და ქრისტიანული.

შესქელდა თოვა თეთრ ხალათებით,
მიწყდა ჩოჩქოლიც...და პირველ ყოვლის
ეს მორიალე თეთრი ლანდები
მომაკვდავს სახეს უზელდნენ თოვლით.

თვითონ ზამთარიც ბებრულ ნაოჭებს
ისრესდა თოვლით და მზის არილით,
წუთით მანქანის ქიმზეც ჩამოჯდა
თეთრხალათიან სანიტარივით.

ფარულ სერობას ჰგავდა სურათი,
იმედიც, თოვლიც თოვდა რიტმულად,
თითქოს ქურუმნი აღასრულებდნენ
ღვთისმსახურების წმინდა რიტუალს.

მათი სიკეთე დიდია ყოვლად,
მათ სადიდებლად მეც გუნდრუკს ვაკმევ,
ნეტავი, ღმერტო სნეულთა მოვლა
იყოს მხოლოდღა წმინდანთა საქმე.

ბოლოს მანქანამ გზა გადატოპა,
გადაიკარგა ჯვაროსანივით,
ქალაქის ბოლოს საავადმყოფო
ელოდა, როგორც იერუსალიმი.

ქალაქში მაინც დავარდა ჭორი–
თითქოსდა თოვლზე აქა–იქ ლანდად,
კაცთა უამრავ ნატერფალს შორის
წაშლილი კვალი ჩლიქისაც ჩანდა..

თევდორე

1609 წელს თრიალეთზე გადმოსული თურქთა დიდი ლაშქარი თევდორე ბერს გადაეყარა და მეგზურობა მოსთხოვა თევდორემ მტერს გზაკვალი აუბნია და მიზანს დააშორა. მოტყუებულმა თურქებმა ბერი აკუწეს. ართველმა ჯარმა დრო მოიგო და მტერი ქვიშხეთთან დაამარცხა.

თრიალეთის ტყეშ, როცა დღეა მშვიდი,
– ევდორეე!...
– ევდორეე!...
ტირის ერთი ჩიტი.

განა მართლა ჩიტუნაა, სული არის სამოთხისა,
– სულო, სულო, სულეთიდან რა განგებამ გამოგხიზნა.

ბალღობაში ნუკრი იყო, თრიალეთზე ბალახობდა,
თეთრი ირმის ძუძუს წოვდა და ალგეთსი კალმახობდა.

ყელს ეკიდა ქრისტეს ჯვარი–გამგებელი საუფლოთა,
წმიდა იყო, სათნო იყო, ცაში ღმერთთან საუბრობდა.

თოხნიდა თუ ვენახს სხლავდა,–ეხსნებოდა ბაგე ლოცვით,
ჩტები რომ ეხვეოდნენ, თურმე იყვნენ ანგელოსნი.

მათ უწყიან მომავალი, თვითეულის სულის ხატი,
ვინ მოკვდება მამულისთვის ანდა კიდევ უფლისათვის.

ამიტომაც მსახურებდნენ, წმინდა ბერი სულს ერჩიათ
და ჭკვიანი ხარებივით ებმებოდნენ უღელშიაც.

...ათას ექვსას მეცხრე წელ, როგორც უპატრონო რაში,
ტორებს ცემდა...ჭიხვინებდა,მთიდან გადარბოდა მთაში.

წმინდა ბერი ლოცვად იდგა...ციდან ჩამოესმა რეკა...
თრიალეთთან მტერი მოდგა...დიდმა მთებმა იწყეს დრეკა...

ქარტულ ვენახს,
ქართულ ჯვარს,–
ქვეყნის ოთხივ მხარეს,
როგორც იატაგანი, სხეპს თურქული მთვარე.

აჰა, მახვილ–შუბებით აზღარბულა სერი,
ჩალმოსანთა მწკრივები ჰგავს სიკვდილის წერილს.

იწერება სულთანი...იწერება ქადილს
და სიკვდილის ეტრატივით იგრაგნება ქართლი.

ხმლით აკუწულ ცისარტყელებს და ხოხობა ცისკრებს
ფარჩეულად გაიტანენ ისპაჰანს თუ მისერეთს...

შენ ხარ ვენახი აჩეხილი,
მესიის სურვილი ამხდარი,
ღვთის სახლი, სათნო სახლი დამეხილი,
წაქცეული, დაქცეული საყდარი.
მამაო, გალობა ხარ შეწყვეტილი,
მამაო, სანთელი ხარ დამწვარი,
მამაო, ცეცხლი იყავ სვე–კეთილი,
ახლა ხარ ნაცარი...
ლოცვა ხარ ბაგეზე შეყინული,
ნახევრად სიზმარი...არაკი...
ლომი ხარ ქართველობას შეწირული
და კრავი–ქრისტეტს ზვარაკი.

ეს სისხლია, ღვთის კაცო, ღვართქაფად რომ დაგდინდა,
თუ რიჟრაჟმა იფეთქა ანაფორის ღამიდან.
– ოსანა!
– ოსანა!
მოდგნენ ანგელოსები,
ანაფორის ნაკუწები მიაქვთ ავგაროზებად.
გალობაში შეგახვიეს და შეგმოსეს ლეგენდებით,
თუ გაჭირდა მტერს და ორგულს ლეგენდითაც ვეკვეთ-ებით,
შენი ჯვარი, ოქროს ჯვარი, როგორც ხახიზნული ჩიტი,
როგორც სული, შენი სული–ფერად გასისხლული შინდი,
გამოება ენად ზარებს,საყდრის დამუნჯებულ ზარებს.
და მზე უძღვის ჩალისფერი ქართლის გამარჯვებულ ჯარებს.

– თევდორეე!...
– თევდორეე!...
ეს რა ძალამ გასულდიდა,
მომავალი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს წარსულიდან.
– თევდორეე!...
– თევდორეე!...
შენისთანა მეკვლე გვინდა,
შენი ერთი კიდევ ბევრჯერ გამოგიხმობს ლეგენდიდან.

მთაშ ფანდურს აჟღავლებენ, წვიმს გმირული კაფია,
ცაში ელვით იწერება შენი ეფიტაფია.

მამელუკები

ავიღებ მეგრულ შეცხადებას და ანძის ჭრიალს...
ბორკილის ჩხარუნს, ყრუ ბაიათს და ბაზრის ყაყანს...
ბოჩოლა ბიჭთან დავაყენებ საჭურისს ჩიას,
დავხატავ ოქროსბეჭდებიან ჩალმიან აღას;
ავიღებ ისარს, ცხენთა თქარუნს, ხმლების კაფიას
და ასე დავწერ მამელუკთა ბიოგრაფიას.
მათ ჯიშიანი ბედაურივით
გახედეს თვითონ არაბეთის მზე.
სიკვდილი იყო ბედაური დაუურველი,
ხიფათი იყო მარად ბედის მძლე.
ცხენზე შემჯდარი იმპერია ტორავს აზიას,
ჟამი ფლოქვებით იჯეკნება, ხმლით იკვებება,
დიდების დროშებს მამელუკთა სისხლი აცხია.
და მოხრჩოლავენ ყვავ-ყორნები და ლეგენდები...
აჰა, გრიგალი მოგელაობს ცხენზე შემჯდარი,
სამეფოები ეცემიან, უკან იხევენ...
შორს კი პატარა საქართველოს აკლია ჯარი
და მტერი არბევს ქართულ ციხეებს...
მათი ცხენების ძუა-ფაფარს, უნაგირს, აღვირს,
მათ ფიქრებს, ხსოვნას, მოგონებებს ცხენივით დაღლილთ,
ისე ეკიდათ „იავნანას“ ნაფლეთები, ცხელი სიზმრები,
როგორც ბრძოლიდან გამოსულებს ბღუჯა ისრების.
და მიჰქრის ჟამი სიკვდილივით დაუურველი,
ქვიშაში ჰყრია ლეგენდები და სულს ღაფავენ,
მზე კი ტორებს სცემს არაბული ბედაურივით
მამელუკების დაუტირალ უცხო საფლავებს...

დიოსკურია

წყალქვეშა ზღაპარს ჟამი ლოკავს ქვამარილივით
და უცხო ხილვებს ლანდებივით გააქვთ ლივლილვი.
კუს ბაკნებია ახორხილი თუ ქვიტკირია,
ერთმანეთზე რომ ფიჭასავით ჩაუკირიათ?
ეს დაჟანგული ჯაჭვია თუ მზის ქერეჭია?
ზღვისქვეშ დამარხულს აღსასრული ცის ქვეშ ერჩია.
ბნელ ჯურღმულებში ოქროს თევზი გაიკომეტებს
და გაანათებს ქვირითივით დაყრილ მონეტებს.
ლაზის შუბივით წამახული ციხე წოწოლა
გაფოფრილია ბალახების ყვითელ კოცონად.
ქვიშად დაქნილა უამრავი ციხე-ტაძარი,
ტალღებისაგან ბღუჯა-ბღუჯა დანატაცარი.
აქა-იქ ფსკერი აღიგზნება და, როგორც ჟრჟოლა,
წყალქვეშა წიაღს ფოსფორული ციაგი ჟონავს.
ანათებს ელვა მარჯნის ტყეებს,ქედებს ცარცოვნებს, –
შენ,ზღვის ფსკერზედაც – სიკვდილშიაც, ვხედავ,
აზროვნებ!
ფსკერზე მარხია საიდუმლოს ვერგამეტებით
ხბოს ტყავის მძიმე გრაგნილები, პერგამენტები...
ანძის ნატეხი, ხმლის ნატეხი, გუთნს ნახეტი
ყვირის: ადექი! ო, ადექი! გეყო, ადექი!
გაექეც სიკვდილს – ყრუ დედაბერს, კბილებმოცვეთილს,
გადაიხსენი, ამოდუღდი და ამოცენდი!
მითხარ, რა ვიყავ, რისი მომსწრე, რისი მიმგნები,
მერე მე გეტყვი, დღეს რა ვარ და ხვალ რა ვიქნები!
ჰაუ, ამოდის, ამოდის და ვეღარც ამოდის
ჩრდილი გუმბათის, კერპის ჩრდილი, ჩრდილი მამონტის,
ნახევრად ისე სიზმარ-ცხადი, ნახევრად მითი,
დიდი სიმღერა წარმართული, ტკივილი დიდი.
ეს დამარხული ჩვენი ტანი, ჩვნეი სულია, –
ამოდის ზღაპრულ ხომალდივით დიოსკურია!

მე ვარ მისანი ხარი წიქარა..

მე ვარ მისანი ხარი წიქარა,
შენი დვრიტა ვარ, მამულ-დედულო,
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რო მადგას განაჩენივით.
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.
და თუ გქონია რამე ტკივილი
ან რამე ჭირი ზნეკეთილიანს, –
ამილოკია ქვამარილივით
და ხარის ცრემლით დამიტირია.
რამდენჯერ ვმდგარვარ სამოთხის კართან
ქედგახეხილი, გადატყაული...
ღმერთთან საუბრის და ნიჭის გარდა
არაფერი მაქვს დანაშაული.
და როცა მიწას მივებარები,
ნაჯაფარი და ტანდაკორძილი, –
შენზე დამრჩება ისევ თვალები
ანგელოსების ამოკოცნილი.

„სხვა დროს“
სტუმარია მწერალი
ლაშა გვასალია

ლაშა გვასალია

ამ უდაბნოს ის ალამაზებს რომ იცი, აქ სადღაც ჭაა მიმალული...

– ბატონო ლაშა, მწერალი ბრძანდებით და მინდა გკითხოთ, რა მდგომარეობაა დღეს ქართულ მწერლობაში, როგორ შეაფასებთ დღევანდელ ქართულ მწერლობას?

– მოგესალმებით, ძვირფასებო, მივესალმები ჩემს საყვარელ გაზეთს. ურთულესი კითხვა დამისვით, ძნელია ასე „თათარიახნად“ შეაფასო ის ფენომენი, რომელზეც და რაზეც დგას ჩვენი უდიდესი წარსული – ენითა და იმ კულტურული სამშვენისებით, რითაც თავს ვიწონებთ ქართველები დანარჩენი მსოფლიოს წინაშე. დიახ, ჩვენ ამ ულამაზეს და უჭკვიანეს პლანეტას, „ვეფხისტყაოსანთან“ და პოლიფონიურ უნიკალურ ნიმუშებთან ერთად, მივეცით კიდევ უამრავი რამ, რომელიც იძულებულს ხდის ძალიან ბევრ ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში, განსაკუთრებული ყურადღება მოგვაქციოს ჩვენ, ამ პატარა, მაგრამ უდიდესი ერის შვილებს. გვიმზერენ, გვისმენენ, ელოდებიან ჩვენგან დიდ რამეებს. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მე მგონი, არაა ცუდად ჩვენი მწერლობის საქმე. იქმნება საინტერესო, მეტად საინტერესო და გენიალური ნიმუშებიც, რაშიც ჩვენი საზოგადოება მალე დარწმუნდება. რა თქმა უნდა, ბულვარული ტელევიზიისა და „უბორნიის“ კალმოსნებზე არ მაქვს ლაპარაკი.

ასევე, მთავარია, ვინ როგორ აღიქვამს, როგორ უყურებს მწერლობის, მხატვრული ლიტერატურის როლსა და მნიშვნელობას.

– ვინ არის მწერალი დღეს და რას უნდა ემსახურებოდეს მისი მოღვაწეობა. რამდენად ახდენს გავლენას გარემო მწერალზე?

– მწერალი თავისი დროის შვილია. როგორ ცხრაკლიტულშიც არ უნდა იყოს, მაინც გარეთაა, მაინც ხალხშია, მაინც საერთო, საყოველთაო დარდ-საზრუნავი აწუხებს და ანარეკლია, როგორც თავისი საქმისა, ისე გარემოსი, რომელიც ხშირად გაუხდელი პერანგივით შემოაცვდება ხოლმე ჯაფაძნელიანს!.

საზოგადოებას პატრონი სჭირდება და ყველაზე დიდი მოჭირნახულე მისი მწერალი და მწერლობაა. მის აღმატებულება საზოგადოებას ხშირად ემართება მისტიკური დაღლილობა და დაქანცულობა და უმნიშვნელოვანეს საკითხებთან მიმართებაში, ზედაპირული მსჯელობებითა და შესაბამისი გადაწყვეტილებებით კმაყოფილდება, არ ჩანს პრობლების სიღრმისეულად წვდომის უნარი. აქ კი ყოველთვის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანია მწერლის როლი. ეს ჩვენს თავზეც გამოგვიცდია და არა მხოლოდ ჩვენ, მსოფლიოს უგენიალურესი ლიდერების აბსოლუტური უმრავლესობა სიტყვის ოსტატი ყოფილა ამავდროულად. მწერალი სულიდან მოდის და მას „ხორცზე“ მეტი ესმის და შეუძლია. ის მიწასთან ერთად ზეცასაც ეკუთვნის და მეტია სხვაზე...

– დღევანდელი შემოქმედი განთავისუფლდა პოლიტიკური დაკვეთებისგან, წნეხისგან და ცენზურისგან, „თავისუფალმა“ მწერალმა და შემოქმედმა, ზოგადად, ვეღარ შექმნა ვერაფერი ღირებული აგერ უკვე 30-40 წელიწადია.

– ზოგადად, მწერლის „დამარწუხება“ შეუძლებელია. ის შეიძლება შეაფერხო, მაგრამ თუ ცოცხალია და სული უდგას – „საშიშია“, ანუ დაუოკებელია. მე თუ მკითხავთ, ცენზურა უფრო ახელებს და აგულიანებს შემოქმედს, შექმნას უნიკალური რამეები, სიტყვებსა და სათქმელს მიღმა ილაპარაკოს დიდოსტატურად ყოველივე იმაზე, რაზეც ეკრძალება საუბარი თუ წერა. ამის დასტურად გამოდგება ჩვენი კლასიკოსების უკვდავი ქმნილებები. მოდით, გალაკტიონის საოცარი პოემა „აკაკი წერეთელი“ გავიხსენოთ – გასაბჭოების სისხლიანი და ცრემლიანი მეტაფორული სურათებით...

მახსოვს ჩემი ერთი უფროსი კოლეგა პოეტი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, ამბობდა: სანამ შევარდნაძე თანამდებობაზეა, ლექსს არ დავწერო. არ დაწერა და ოსტატის შესაძლებლობანი დაკარგა და ანარეკლად იქცა იმ ძველი სახელისა, რომელიც დღემდე პატრონობს და ემხარძლიერება, თუმცა ახალი შევარდნაძის შემდეგაც ვერაფერი შექმნა, რადგან მუზა, როგორც გემი, ნავსაყუდელის გარეშე არსად ჩერდება. ასე რომ, შრომა და თვალმოუხჭავი ჯაფაა საჭირო ღირებულის შესაქმნელად.

ვერ დაგეთანხმებით იმაში, რომ მნიშვნელოვანი და ფასეული არაფერი შექმნილა. იქმნება, თუმცა პლანეტის „დასაყრუებელი“ ხმა ვერ ამოვთქვით ჯერაც, რომელიც სანობელე „ხმა“ იქნებოდა. მაგრამ, მერწმუნეთ, ეს დროც ახლოსაა.

– როგორია ლიტერაურული ცხოვრება სამეგრელოში?

– ჩვეულებრივი, როგორც ყველგან, ისე – ჩვენგან. გამოდის მეტად საინტერესო ლიტერატურული ჟურნალი „ებგური“, საინტერესო ავტორებითა და პუბლიკაციებით, რომელიც გახლავთ დასტური იმისა, რომ ჩვენს მიერ ზემოთ აღნიშნული „ამოქუხილება“ შეიძლება აქედან, კონსტანტინე გამსახურდიას, ტერენტი გრანელის, ლეო ქიაჩელის და სხვა ბრწყინვალე შემოქმედთა კუთხიდან მოხდეს. თუ ნიცშეს დავუჯერებთ: „დიდი ნაწარმოები განასახიერებს ინტელექტუალურ დრამას“, ჰოდა, ყველაფერია შესაძლებელი...

– რამდენადაც ვიცი, თქვენ ხშირი კონტაქტები გაქვთ აფხაზეთის შემოქმედებით ინტელიგენციასთან.

– კი, ბატონო, მაქვს ძალიან ახლო და შემოქმედებითი კონტაქტები ჩვენს აფხაზ კოლეგებთან. მე და ჩემი მეგობრები, რომლებიც ამჟამად ვმოღვაწეობთ სამეგრელოში, ვცდილობთ, ჩვენს მიერ დაარსებული „აბაყა“, ანუ მეგრულ- აფხაზური სახლი, ზოგადეროვნული კონტექსტით, უფრო აქტუალური და რაღაცნაირად ცინცხალი გავხადოთ, მაგრამ ეს როგორ ურთულეს პრობლემებთანაა დაკავშირებული, ვგონებ, არ გესწავლებათ. ჩვენ, რამდენიმე ენთუზიასტი კალმოსანი, შიშველი ხელებითა და ცარიელი ჯიბით ვებრძვით იმპერიულ მანქანას, მიმართულს ჩვენი უდიდესი ნათესაობისა და მეზობლობის წინააღმდეგ. აფხაზურ-ქართული საკითხი სხვა, უფრო აქტიურ ფაზაში უნდა შევიდეს. მერე რა, რომ გვიშლიან, გვებრძვიან... ვერავინ, ვერც რუსი თუ ვერც თურქი, ამას ვერაფერს უზამს: ვერ დაადუმებს „ვარადას“, „ჰარიდას“, „ოდოიას“, „ნანას“, აფხიარცასა და ჩონგურის აგრიგალებას.

ერთმა მაგარმა აფხაზმა ბიჭმა, ახალგაზრდა უნიჭიერესმა პოეტმა ნიკა ბაძაღუამ თარგმნა და შეადგინა აფხაზური პოეზიის ანთოლოგია, ეს გახლავთ უდიდესი ხიდი ჩვენსა და ჩვენს მშობლიურ აფხაზეთს შორის. სულ მალე უფრო დიდ საქმეებსაც იხილავთ, რასაც ჩვენი, ყველასგან მიტოვებული მწერლობა აკეთებს ჩვენი ერთიანი სხეულის გასამრთელებლად.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ უკვე ოთხი წელიწადია, სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციისა და ჩერქეზული სახლის ინიციატივით, ზუგდიდსა და ანაკლიაში ტარდება „კავკასიური პოეზიის ფესტივალი“, სადაც მონაწილეობას ღებულობენ სრულიად კავკასიელი კალმოსნები, როგორც უშუალოდ კავკასიიდან, ისე მსოფლიოს უამრავი ქვეყნიდან, სადაც მათ გარკვეული მიზეზების გამო უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა. მინდა თამამად განვაცხადო: ამაზე დიდი, თუნდაც პოლიტიკურად ჰუმანური აქტი, ჩვენს ქვეყანაში კავკასიის ერთ კულტურულ სივრცედ წარმოსახვის საქმეში არ გაკეთებულა. მწერლები კვლავაც თავდაუზოგავად იბრძვიან დიდი საერო და საშვილიშვილო საქმეებისთვის.

თუ ასე არ ვიღვაწეთ და ვიზრუნეთ, ფრანც კაფკას გმირივით დაგვემართება, „ერთხელ დილით, როცა გრეგორ ზამზამ შფოთიანი სიზმრების შემდეგ გამოიღვიძა, აღმოაჩინა, რომ თავის საწოლში საშინელ მწერად ქცეულიყო“.

და კიდევ, არასდროს უნდა დავკარგოთ ერთად ყოფნის, საქართველოს გაერთიანებისა და გამარჯვების იმედი, ოღონდ ეგ ბუტაფორული ზმაილებითა და ჰაერში დაცლილი გინებებით კი არა, რეალური, კეთილგონიერი ქმედებებით უნდა მოხდეს. ჯიუტად მჯერა, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რადგან გამარჯვების უნარი და ძალისხმევა, როგორაც არ უნდა გვლანძღონ და გვაგინონ, არ დაგვიკარგავს!

ეგზიუპერი გამახსენდა: „იცი, რა ალამაზებს უდაბნოს? – მითხრა უფლისწულმა, – ის, რომ სადღაც ჭაა მიმალული...“ – ამ ყველაფერს, თავისი ათასრაობითი ულულუგობით, იცით, რა აძლიერებს და ამშვენიერებს? – იმედი, დიახ, იმედი ქართველების გამარჯვებისა.

– მინდა მოგილოცოთ ახალი კრებულის გამოცემა. როგორ ათავსებთ საზოგადოებრივ საქმიანობას და ლიტერატურულ მოღვაწეობას, არც ისე ადვილია, იყოთ სახელმწიფო სამსახურში და წეროთ, მაგალითად, ლექსები.

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის, ყოველი ახალი წიგნი ახალი გამონათება და ახალი სიცოცხლეა ავტორისთვის. მე ასე ვფიქრობ, ასე ვდარდობ, ასე მემღერება, ასე მეცრემლება, მოკლედ, ასე და ასე... დანარჩენს მკითხველი ნახავს და შეაფასებს.

დაწყობილი და მშვიდი ცხოვრება, მათ შორის, შესაბამისი პირობები, არასდროს მქონია, რადგან მე საველე მეთაური გახლდით და გახლავართ ახლაც იმ დიდ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს ჩვენი სამშობლო მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში. დეზერტირი და მიყურთბალიშებული ვერ ვიქნებოდი და ვიბრძოდი უკანონობის, ხუნტის, „მხედრიონისა“ თუ სხვა უბედურებების წინააღმდეგ, ასე ვარ ახლაც, ჩემი გამჩერებელი სიკვდილია მხოლოდ და ამას კი, დიდი ხანი არ ვაპირებ...

ლამაზადაა ნათქვამი: სილამაზე არ წყვეტს თუ ვინ გიყვარს, არამედ სიყვარული წყვეტს ვინ მიგაჩნია ლამაზადო. ასეა ჩემი ამბავიც, მიმაჩნია, მჯერა, რომ ასე უნდა ვიცხოვრო ამ რეჟიმში და ვახერხებ ჯერხნობით კიდეც.

ყველამ უნდა უწყოდეს, რომ ქართული ეროვნული გენია ვერასდროს შეეგუება მონობას და ვიღაცის უღელქვეშ ყოფნას. ამიტომაც ვმართეთ ასე თვალდასარჩენად ჩვენი კულტურული სივრცე და ასეთმა დიდგულოვნებამ შეგვაქმნევინა „ვეფხისტყაოსანი“.

ასე, რომ, ვკითულობ და ვწერ, ვწერ და ვკითხულობ. ვხუმრობ ყველგან, წარმოშობით მწერალი ვარ-მეთქი და ასეცაა, ამაზე უკეთესად არაფერი მეხერხება. თუმცა, უწინარესად, პროფესიონალი მკითხველი გახლავართ, ძალიან მაგარი მკითხველი. წერა მოთხოვნილებაა, რომელსაც ვერც გაექცევი და ვერც დაიოკებ. ეს წერაც ფიქრის თანმდევია, სინანულითა და სევდით გაჯერებული ფიქრისა. ადამიანი მუდმივ ძიებაშია, საკუთარი თავისა და საქმის ძიებაში. თავი რამენაირად ხომ უნდა დაიმკვიდრო ამ ცოდვილ სამყაროში. ამ ძიებისა და ბრძოლის პროცესში არ შეიძლება მუდმივად ანკარად მოედინებოდე... ან წვიმა მოგისწრებს, ან დელგმა, ხან ადამიანები აგამღვრევენ, ხანაც – შენი აზრები და გულუბრყვილო ქმედებები, ხანაც შეცდომები და ხანაც ... მთავარია, არ გაჩერდე, იდინო... მდინარის თვისებაა, გზა და გზა გაიწმინდოს, გაკრიალდეს... მთავარია, არ გაჩერდე, არ დაგუბდე, არ დაჭაობდე!..

გილოცავთ შობა-ახალ წელს, უფალს ყოველივე ამაღლებული და გაღვთიერებული მოენაგროს ყოველი ღირსეული და კეთილგულოვანი ქართველისთვის!..

მრავალჟამიერ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ეროვნო სალარაძე

წინ, წარსულისკენ!

ძნელია იყო ადამიანი, მაგრამ ძალიან აუცილებელი

ყველაფერი დავანგრიეთ, რისი დანგრევაც შეიძლებოდა. თან როგორ უგნურად! ნანგრევებში თვითონვე მოვყევით და იმის მაგივრად, რომ იქიდან გამოღწევას ვცდილობდეთ, დასახიჩრებული სულებით და სხეულებით ერთმანეთს დავერიეთ. ხელის რაღაც უაზრო, კონვულსიური მოძრაობით, შეცდომით, სამყაროს კომპიუტერის იმ ღილაკს დავაჭირეთ თითი, რომელმაც თვითგანადგურების იმპულსი ჩართო ჩვენში. იმ კრონოსს დავემსგავსეთ, რომელმაც უკვე საკუთარი შვილების ჭამა დაიწყო. ეს ბოლო დღეები ამის თვალსაჩინო მაგალითია. საქართველო ისტერიკაში მყოფ ავადმყოფს დაემსგავსა, რომელსაც მხოლოდ კივილი, მოთქმა-ტირილიღა შეუძლია, სრულიად არაფრის მომცემი მოთქმა-ტირილი! რამდენიმე წუთითაც რომ ჩართო ტელევიზორი, გამანადგურებელი უიმედობის ტალღა წაგლეკავს, აპოკალიფსური განადგურების სურათი დაგიდგება თვალწინ: ზოგი ტირის, პურს, წყალს, წამალს, ელემენტარულ საარსებო გარემოს ითხოვს; ზოგი ჩხუბობს, იმ სავარძლებიდან რომ გადმოაბრძანეს, რომლებშიც სამყაროს მბრძანებლებად გრძნობდნენ თავს; სხვანი ცდილობენ, მოპოვებული ძალაუფლება არ დაკარგონ. არადა ყველამ კარგად დაინახა საქართველოში და მთელ დედამიწაზეც, რომ „ძალაუფლება რყვნის ადამიანს, აბსოლუტური ძალაუფლება კი – აბსოლუტურად რყვნის“. ამ ფატალურ მიზეზ-შედეგობრიობას ვერც ერთი დროის, ვერც ერთი ქვეყნის, ვერც ერთი მმართველი კასტა ვერ გადაურჩა და ვერც ვერასოდეს გადაურჩება, თუ ადამიანმა, როგორც ასეთმა, ვერ შეძლო თავისი ბუნების შეცვლა, რომლის უტყუარ ეპითეტად სიტყვა – „ეგოისტური“ გამოდგება.

ჩავიხედოთ „ბიბლიაში“! მაგრამ ვიდრე ჩავიხედავდეთ, ერთი რამ გავიხსენოთ (დიახ, „გავიხსენოთ“ და არა „გავიაზროთ“, რადგან ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა – იბერებმა – ეს კარგად იცოდნენ და თუ ჩვენ მათი ნამდვილი შთამომავლები ვართ და არა საბრალო სულიერი ნაბუშრები, შერეულნი უღმერთო წარმართთა კასტებთან, მაშინ სიტყვა – „გავიხსენოთ“ უფრო მართებული იქნება), რომ უზენაესთან კავშირგაწყვეტილი ერი იღუპება და თუ რაიმე შემოგვრჩა იმ გენეტიკური მეხსიერებიდან, გავიხსენოთ, თუ არა და, მითები მოვიშველიოთ. მითი ხომ, ღრმად ჩაბეჭდილი კაცობრიული მეხსიერების უღრმეს შრეებში, უტყუარი და საიმედო შემნახავია იმ საკრალურობისა, რომელიც გადამრჩენის ფუნქციას ასრულებს. მარტო კი არ გავიხსენოთ, შევიგრძნოთ ყველა უჯრედით, სისხლის ყოველი წვეთით, ყოველი მყესით, ყოველი რეცეპტორით, რომ ყველაზე დიდი მამის პირმშოები ვართ, კაცობრიობის გარიჟრაჟზე შობილნი და შემოქმედის მიერ მეტად საჭირო მისიის შესასრულებლად ხელდასხმულნი. ის პასუხისმგებლობა უნდა შევიგრძნოთ, რომელიც ამ მისიამ დაგვაკისრა და რომელზეც ბოლოჟამინდელი ეროვნული მოძრაობის ლიდერები – ზვიდ გამსახურდია და მერაბ კოსტავა ალაპარაკდნენ და როგორც მარათონის ქანცგაცლილი მონაწილე აქოშინებული გადასცემს ესტაფეტას გზის გამგრძელებელს, ისე „გვესროლეს“ ფრაზა მომავალ მემარათონელებს – „საქართველოს მისია სულიერშია!“ ეს ყველაფერი გავიხსენოთ, შევიგრძნოთ და ჩავიხედოთ „ბიბლიაში“, სადაც გარკვევით ჩანს გზა გადარჩენისა: უკეთურობისაკენ მიმავალი გზიდან ღმერთისკენ შემობრუნება!

ბიბლიური სიბრძნე ძვ.წ.ა. მე-13 საუკუნიდან გამოუჩნდა კაცობრიობას, როგორც ერთიანი, განუყოფელი, უზენაესის ღვთაებრივი სიბრძნის იმ მოცემულ სივრცესა და დროში გამოვლინება. გაცილებით ადრე კი ეს ყოვლისმომცველი სიბრძნე იბერის სააზროვნო თვალსაწიერის განმგებელი იყო, უხსოვარ წარსულში „ჩამოყოლილი მამის სახლიდან“ დედამიწაზე. მერე ეს სიბრძნე თანდათან იფარებოდა, უჩინარდებოდა, მითიური ამირანის მიერ „გამოტაცებული“, კავკასიის ქედზე „იდებდა ბინას“; „ოქროს საწმისად“ წოდებული, აიეტისა და მედეა კოლხეთის გეოგრაფიული, მენტალური და სულიერი სივრცეების ეპიცენტრი, ფუნდამენტი სახელმწიფოებრივი ძლიერებისა, არგონავტების ხელით გატაცებული, უკვე სხვა ქვეყნებში მკვიდრდებოდა, ოღონდ უკვე მუქ საფარველდადებული, დამცრობილი, ჩვენი ჯიშ-ჯილაგისათვის დაკარგული, რადგან დაცემის გზაზე დამდგარნი, უკვე აღარ ვიყავით ღირსნი მისი ფლობისა. ამის შემდეგ ის სანეტარო სიბრძნე ხან რომელი ხალხის რომელ ინდივიდში გამოანათებდა და ხან – რომელში. ხან ინდოთა ტომიდან აირჩევდა უფალი ვინმეს თავისი ღვთაებრივი გზავნილის ადრესატად, ხან ჩინელთა, ხან ებრაელთა. ჩვენი ერი ხომ განებივრებული იყო ასეთი გზავნილებით. მარტო რუსთაველი, ილია და ვაჟა კმარა ამის საბუთ-დასტურად! ის პირველყოფილი სიბრძნე, რომლის დათარიღება ახლა შეუძლებელია მისი სიძველისა და ჩვენგან ჩვენივე ისტორიის მოუფრთხილებლობის გამო, „ეფუთის“ სახელქვეშ დაფარული (იმედია, არა სამუდამოდ!), გაჰქრა ქართველის ცხოვრებიდან. მხოლოდ შუმერულმა ეპოსმა – „გილგამეშმა“ – შემოინახა მისი საკვანძო მომენტები. მოგვიანებით „თორა“, მოსეს ხუთწიგნეული მიეცა ებრაელობას, მაგრამ როგორი ფარული თხრობით, როგორი კოდებით გასაიდუმლოებული! შემდეგ სხვა წინასწარმეტყველთა ასევე ალეგორიის საბურველში გახვეული სიბრძნენი. ბოლოს თვით მაცხოვარი! მისი საოცარი, გამაოგნებელი მოძღვრება! განათებული გზა, გამოსასვლელი იმ უღრანიდან, რომელშიც მთელი კაცობრიობა გაიხლართა. სულიერი ფსკერი ყველაზე გამანადგურებელი საქართველოსთვის აღმოჩნდა. რას იზამ, სამყაროსეული კანონია: ვისაც მეტი მიეცა, მეტი მოეთხოვება! სხვა მოცემულობის, სხვა მისიის ქვეყანა ვიყავით. ფლაგმანი უნდა ვყოფილიყავით კაცობრიობისათვის უფლისაკენ მიმავალ გზაზე.

აქვე ერთ რამეში თუ არ შევთანხმდით, ძვირფასო მკითხველო, ჩვენი საუბრის გაგრძელებას აზრი არ ექნება. არ არსებობს სიბრძნე ინდური, ჩინური, ებრაული, იბერიული. ჭეშმარიტი სულიერი ცოდნა საყოველთაოა, ყველასია, მთელი კაცობრიობისაა. სადაურობის მინიჭება მხოლოდ ერთ ფუნქციას ატარებს. – ვისაც გაუმჟღავნდა, ის ერი ვალდებულია, მოუფრთხილდეს, მისი ფლობის უფლება შეინარჩუნოს და საჭირო დროს საჭირო მზადყოფნის ხალხს გადასცეს, რომ სვლაგეზდაკარგული კაცობრიობა ღვთის გზაზე შემოაბრუნოს.

არსებობს გამოთქმა – რაც უარესი, მით უკეთესი! ეს წმინდა სულიერი დოქტრინის ღერძია, რომელსაც უნდა ჩავეჭიდოთ და ამოვყვეთ ჯურღმულის ფსკერიდან მზის სინათლისაკენ. ეს საშინელება რომ არ დაგვმართნოდა, ვერ შევიგრძნობდით ჩვენს მდგომარეობას, არც გამოსავლის ძებნას დავიწყებდით. ახლა ჩვენზეა დამოკიდებული, შევაჩერებთ საკუთარ ვარდნას თუ კიდევ უფრო დიდ განსაცდელში ჩავიგდებთ თავს.

ამ წერილს „იბერიონის“ სახელით და მისი დავალებით ვწერ. ეს პატარა ჯგუფი, რომელსაც მედიცინის დოქტორი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება, ბ-ნი თამაზ ფირცხალავა ხელმძღვანელობს, უკვე მრავალი წელია, ეძებს თავის დაღწევის გზას ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობიდან. გამოსავალი ჯგუფმა იბერიული სიბრძნის წვდომაში დაინახა, გაიაზრა რა, რომ სწორედ მისი დაკარგვის შემდეგ დაიწყო ჩვენი ისტორიული სამშობლოს ენით აუწერელი უბედურება. გაჩნდა მიზანი – ჩაგვეღწია ამ სიბრძნეს ძირებამდე. სასაცილო და დაუჯერებელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს შევძელით, თუნდაც იმიტომ რომ, ამ სიბრძნის დაბრუნების ღირსი ერი უნდა გახდეს და არა მხოლოდ პატარა ჯგუფი ქართველებისა, რაგინდ თავგადაკლული სურვილითაც უნდა იყვნენ შეპყრობილი ამ ჯგუფის წევრები. ვეძებდით, ვკამათობდით, ვხვდებოდით სხვადასხვა პროფესიისა და მოსაზრებების ადამიანებს, დაყირავებულ ხეზე თავდაღმა მივცოცავდით. რაღაც მნიშვნელოვანი უკვე გვიპყრია ხელთ, რითიც შეიძლება ქართველმა კაცმა სულიერი საქართველოს მშენებლობა დაიწყოს იმის ღრმა რწმენით, რომ სულიერი სამყარო სრულიად განმსჭვალავს და მართავს მატერიალურს. ჩვენს ყველაზე დიდ მიგნებად „ფესვების“ ანუ კოდების ენის აღმოჩენა და ამ ენაზე წაკითხული „სახარება“ მიგვაჩნია. ამ ენამ ზოგადკაცობრიული და იბერიული სულიერი მემკვიდრეობის სულ სხვა სიღრმეთა წვდომის უზარმაზარი პერსპექტივები წარმოაჩინა. აღმოჩნდა, რომ მთელი ‘ბიბლია“ თითოეულ ადამიანში გასავლელი გზაა დაცემული ადამიდან სრულყოფილ ადამამდე, ანუ ჩვენში – ქრისტემდე. უფრო გასაგებად – ჩვენი ეგოიზმიდან ჩვენსავე ალტრუიზმამდე. როგორ უნდა გაიაროს ეს გზა ამისათვის მზადმყოფმა ადამიანმა, მეთოდი, ტექნოლოგია უკვე არსებობს.

ამ გზას თავისუფლად შეიძლება ეწოდოს – „წინ, წარსულისაკენ!“ თუმცა ეს ბრძნული ფრაზა, როგორც გვჩვევია, ბილბორდთა სამკაულად ვაქციეთ მხოლოდ და არა სამოქმედო პროგრამად. ჯერ კიდევ ბრძენმა ქილონმა, შემდეგ სოკრატემ და ბოლოს თვით მაცხოვარმა, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიტყვებით, სხვადასხვანაირად, ერთი, ერთიანი, განუყოფელი სიბრძნე იქადაგეს: „შეიცან თავი შენი და შეიცნობ სამყაროს, შეიცნობ ღმერთს“. ორიათას ხუთასზე მეტი წელია, ადამიანი იმეორებს ამ ფრაზას, მხოლოდ... ბაგეებით. საკუთარი თავის შეცნობა დღესაც არ დაგვიწყია. საერთოდ არ ვცნობთ, არ ვაღიარებთ ჩვენს ეგოისტურ „მეს“ – სათავეს ყველა უბედურებისა. ამ გზის გავლის გარეშე საქართველოს მართვის სისტემაში მოსული ყველა ადამიანი იგივეს გაიმეორებს, რასაც წინა ხელისუფალნი სჩადიოდნენ. „იბერიონი“ ფიქრობს, რომ ქვეყნის დღევანდელი გაუსაძლისი მდგომარეობა ქართველთა ინდივიდუალური თუ კოლექტიური ეგოისტური„მეს“ ნაყოფია. ჯგუფი კისრულობს, იყოს გზამკვლევი ეგოიზმის ლაბირინთებში იმ ადამიანებისათვის, რომლებიც მზად არიან, ჩახედონ თვალებში საკუთარ ეგოიზმს. თითოეულმა „იბერიონელმა“ ეს გზა უკვე კარგად იცის, საკუთარ თავზე მუშაობის გამოცდილებაც აქვს. ვერ გეტყვით, რომ იოლია, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის. ადამიანი კი, იბერიული სიბრძნის თანახმად, ქმნილებაში მაშინ იწყება, როცა ამ გზას ადგება, როცა ჩნდება კითხვები: ვინ ვარ? რისთვის ვარ? საით მივდივარ? ძნელია, იყო ადამიანი, მაგრამ ძალიან, ძალიან აუცილებელი!



ირაკლი ვაშაყმაძე

ჟამი არს სიყვარულისა

მარადდასამახსოვრებელი ჭეშმარიტებით „ჟამი არს სიყვარულისა და ჟამის არს სიძულვილისა“...

სიყვარული – სიკეთეა, სათნოებაა, „ღმერთი არს სიყვარული“.

სიძულვილი – მტრობაა, ბოროტებაა, რომელსა არა უყვარდეს, მან არ იცის ღმერთი“.

ადამიანებს ურვა-უბედურება თავს დასტყდომიათ: გვალვა და შიმშილობა მძვინვარებს. წამის წამზე სხვათა მსგავსად ჯოუდების ოჯახიც გაუდგება ლუკმა პურის საძიებლად გზას. ჯოუდების დიდმა ოჯახმა სახლკარი, კარმიდამო უნდა დასტოვოს.

განსაცდელს, უბედურებას გაძლება უნდა – არა შეგუება.

ამ ძნელბედობისას ჯოუდების ვაჟი ბრუნდება საპატიმროდან.

„კარგი სანახავია, როცა შვილი შინ ბრუნდება“. კიდევ უფრო „კარგი სანახავია“ ამ დროს დედა.

და აი, შვილი ოთახში მოფუსფუსე დედას ხვდება:

დედას ერთი სული აქვს, როდის დაიმარტოხელებს პირმშოს, დედას უმთავრესი აინტერესებს: შვილი დაბრუნდა ოჯახში, როგორია ციხიდან ოჯახში დაბრუნებული შვილი.

ახლა ისინი სულ მარტონი არიან.

– ტომი, უნდა გკითხო... შენ არ გაბოროტებულხარ“?

ასეთ შეკითხვას დედისაგან შვილები არ ელიან, ან თუ ელიან, საუბედუროდ, იშვიათად.

– გავბოროტებულვარ, დედა?

– ჰო, შენთვის გაბოროტებას გონება არ მოუწამლავს, სულ არავინ შეგძულებია, ციხეში შენთვის ისე არაფერი დაუშავებიათ, რომ გაბოროტებულიყავი?

ტომმა დედას ცერად გახედა და დააკვირდა, თითქოს თვალებით ეკითხებოდა, როგორ გებულობ ამგვარ ამბებსო?

გაცხადდა ძველთაძველი სიბრძნე: „დედაკაცი მხნე და გონიერი გვირგვინი არს ქმრისა თვისისა“.

დედა სიამაყითა და შვებით აივსება, როცა ზნეკეთილად დაიგულებს ციხიდან დაბრუნებულ ბიჭს. უბედნიერესი დედაკაცია იგი ახლა, რანაირი შავსვიანობა არ უდა შეხვდეს ოჯახს, ოჯახი ოჯახად დარჩება.

სტეინბეკის რომანი „მრისხანების მტევნები“ დედის, ოჯახის უძლეველობის ჰიმნია, ოჯახი, სადაც დედა უფლობს, არ დაიღუპება.

„ცხოვრების ნავი უეცრად რომ გატყდება და ქაფი ჩახრჩობას გიპირებს, ყოველი ქვის ნატეხი ფეხებში გედება, როცა ზიზღი და შურისძიების სურვილი ფეხდაფეხ გსდევს, ვინ დახრის თავს მწუხარებით და დაგეხმარება სევდის ატანაში? – ოჯახი...

ნუ ვახლებთ ხელს, იგი წმინდაა... ყოველს ადამიანს ერთი ადგილი მაინც უნდა ჰქონდეს, სადაც იგი ხელშეუხებელი, საყვარელი, მუდამ ერთი და უკვდავი წევრია.

... ნუ ვახლებთ ხელს ყოველთვის, ყოველ მდგომარეობაში სიყვარულის, სათნოების, თავგანწირვის ტაძარს – ოჯახს“.

„ჟამი სიძულვილისა“ ხშირად მდგარა საქართველოში.

მიმოიხილავს რა ისტორიის სისხლიან ფურცლებს, ბუნებრივია ივანე ჯავახიშვილის გულისტკივილი: „სულ სხვანაირად დატრიალდებოდა საქართველოს ბედიღბალი, დიდებულ აზნაურებს რომ ძლიერი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშეცნება და შეგნება ჰქონოდათ და პირადი თავმოყვარეობა და წოდებრივი სარგებლობა საქართველოს საზოგადო კეთილდღეობისთვის შეეწირა თ. ვინ მოსთვლის, რაოდენი ძალა იკარგებოდა მაშინ ტყუილუბრალოდ და უნაყოფოდ ამ ძმათა შორის ბრძოლაში“. ტრაგიზმით აღსავსე კონკრეტული ისტორიული მონაკვეთი არაა აქ შეფასებული. ივანე ჯავახიშვილისეული ნაზრევი განზოგადოებულ ჭეშმარიტებად უნდა შევიმეცნო თ.

ძლიერი საზოგადოებრივ-ეროვნული თვითშეგნების უქონლობამ, სიძულვილმა, ძმათა შორის მტრობა-უთანხმოებამ, მრავალგზის მიწა-წყალი ადამიანთა უმწეო უპირატესობათა მტკიცების სისხლიან ასპარეზად აქცია, საქართველო ისე დააძაბუნა, დააუძლურა, სახელმწიფოებრივ არსებობაზე უარი თქვა და რუსეთის იმპერიის ხახაში აღმოჩნდა თავისუფლებადაკარგული, პატივაყრილი. სავალალო შედეგი: ბაგრატიონების ტახტი ურემზე დაუდეს, პეტერბურგისაკენ გაუყენეს!!!

„ჟამი სიძულვილისა“, მონობის ბორკილი და მონობის უღელი. ხვედრი სასურველი? მონობის ბორკილი და უღელი თუ გინდ ოქროსი იყოს, მაინც ბორკილი და უღელია. თურმე ამ ბორკილსაც ეჩვევა ერი:

„შეეჩვიე, ვერ აღიქვამ ბორკილს ბორკილად,

რა დაგემართა, აურაცხელ მტერთან მორკინალს?!“

დაავადებული ორგანიზმი ტკივილის შეგრძნების უნარს კარგავს. დამონებული, უმეცარი ადამიანი საგნებსა და მოვლენებს მიძინებული, მთვლემარე გონებით ობიექტურად ვეღარ აღიქვამს. თითქოს აღსრულებულა წყევლა-წინასწარმეტყველება ესაიასი: „სმენით გესმოდეს და არა გულისხმა-ჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ და არა იხილოთ“.

ასე შეჭირვებული ქართლის დედა შვილთა ბედით მე-19 საუკუნეში რომ იყო, არასოდეს ყოფილა.

კარგად მივაპყროთ ყური ილიას: სიძულვილთან, მტრობასთან, შურთან ერთად: „იპარავენ პატიოსნების სახელითა, ჰღალატობენ ერთმანეთს ერთგულების სახელითა, სტყუიან, ცრუობენ სიმართლის სახელითა და არავინ ჰკითხულობს სად ტყუილი, და სად სიმართლე“. ყოველივე ამას უკეთურობა ჰქვია. „უკეთური ესე არს მჩემებელი კეთილისა და მოქმედი ბოროტისა“.

ფრანგებს ერთი ფრთიანი გამოთქმა აქვთ: „როცა გგონია, რომ საფრანგეთი იღუპება, მას სასწაული იხსნის“. საქართველოს შეიძლება ითქვას: როცა გგონია საქართველო იღუპება, მას სასწაული იხსნის. დიახ, საქართველოც სასწაულმა ერის „სნეულთ მლხენელის“ ილიას მოვლინებამ იხსნა სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაგან.

აი, ეს „ლაფიანი სინამდვილე“ აისახა ილიას შემოქმედებაში. მოთხრობაც „სარჩობელაზედ“ ამ ლაფიანი სინამდვილის ტრაგიკულად აღქმის მძაფრი სურვილითაა აღბეჭდილი.

„სარჩობელაზედ“ 1879 წელს, თითქმის საუკუნის წინ დაიბეჭდა. ილიამ მოთხრობას სათაურის ქვეშ მიაწერა: „პატარა ამბავი“. ამ პატარა ამბავში პეტრესა და ორი ობოლი ძმის ბედ-იღბლის მაგალითზე „საქრისტიანო საქართველოს“ სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი პორტრეტი აღიქმება, შეუფერადებელი და უტყუარი.

ღვინის გასაყიდად ურმით ქალაქში მიმავალი პეტრე ორ ძმას შეიფარებს, დაანაყრებს და ღამეს გაათევინებს. გათენდება და რას ხედავს: პეტრესთვის ძმებს შეუჭრიათ ჯიბეები, წაუღიათ ფული და გაპარულან.

გაივლის ხანი, თითქმის ოთხი წლის შემდეგ შვილთან ერთად წისქვილის ქვების საშოვნელად ქალაქში ჩამოსული პეტრე მისთვის დაუჯერებელ საშინელ სურათს შეესწრება. მახათას მთაზე კაცი უნდა ჩამოახრჩონ. კაცი კი ჩამოახრჩვეს, მაგრამ გაოგნებული დარჩა პეტრე, თვალის სეირზე მოსული ხალხის შემხედვარე.

„... ე ხალხი რომ ასე ქეიფის გუნებაზეა, მიდის და მიყაყანებს მხიარულად! ეს რომ მართლა დარჩობა ყოფილიყო, ქვები ხომ არ არიან, ოჯახდაქცეულები, ერთ ცვარ ცრემლს მაინც ჩამოაგდებდნენ. რაც უნდა იყოს, ღვთის კერძი ადამიანია“...

ქათმის დაკვლისას ქათმები საშინელ კრიახს ასტეხენ.

საქონლის დაკვლაზე საქონლების ზმუილი შეიქმნება.

აქ კი გულგრილობას, გულცივობას შეუპყრია ადამიანები.

დაეჭვებულია პეტრე, ჩამოახრჩვეს თუ არ ჩამოახვრჩვეს. არ სჯერა ასე უბრალოდ შეიძლება სახრჩობელაზე აიყვანონ კაცი და ხელყონ მისი სიცოცხლე? ჩამოახრჩონ და ამოდენა ხალხში ქალი, კაცი, ყველა გულქვა იყოს?

აფორიაქებულმა დუქანში შეუხვია. ბიჭი შენიშნა, რაღაცას სწერდა. შეიცნო და ვერც შეიცნო ეს ახალგაზრდა. სადღაც უნახავს პეტრეს, სად? იხსენებს და ვერ გაუხსენებია. ლუკმა წაიხემსა მთელი დღის უჭმელ-უსმელმა და ავლაბრის ბაკებისაკენ გააგრძელა გზა. მოულოდნელად ბიჭმა, აი, იმ ბიჭმა, წერილი შე-

ჯონ სტეინბეკი საქართველოში

აჩეჩა ხელში, ვინაობაც არ გათქვა, დღევანდელ ამბავს აქედან შეიტყობო... და გაუჩინარდა. დაოსებულმა პეტრემ ძლივს მიაღწია სამყოფელს. შვილს სთხოვა წერილის წაკითხვა.

„გახსოვს ამ ოთხი წლის წინათ ლოჭინის ხევის პირს... ორი ყმაწვილი რომ მოგადგათ? ისინი ჩვენ ვიყავით, ორი დღის უჭმელები. საწყალმა ჩემმა ძმამ, ბეჟანს რომ ვეძახოდი, ბევრი ტყუილი ილაპარაკა მაშინ... დღეს ჩემის თვალით ვნახე, რომ კატასავით დამირჩვეს... განა ამას შევარჩენს ქვეყანასა...

შენ მაშინ გულის ტკივილი დაგვიურვე. შენმა გულკეთილობამ კინაღამ მადლის შუქი არ ჩააწვდინა ჩემს ბნელ გულამდე, კინაღამ შენმა გულკეთილობამ არ მომინადირა.

გაგქურდეთ და ჩამოვედით ქალაქს... მას აქეთ დღე არ გასულა, რომ არავინ გაგვეძარცვოს... ამით ვირჩენდით თავსა და ამითვე ვიფხანდით ისარნაკრავს, გამწარებულს და გაბოროტებულს გულსა.

ამ ორიოდე წლის წინათ თითქოს ბედმა მიგვიყვანა მამინაცვალის სახლში. დედა-ჩვენი მაშინ შინ არ იყო, სოფელში გაესტუმრებინა ქმარს შევუცვივდით ღამე ორნივ ძმანი, მამინაცვალი შემოგვაკვდა, გვინდოდა აგვეკლო იქაურობა და ვეღარ მოვასწარით... პოლიცია თავს დაგვესხა. მე კი გამოვასწარ და ჩემი საწყალი ძმა მოემწყვდიათ და დაეჭირათ. ბოლო ხომ იცი...

მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო...

მშვიდობით, თუ ოდესმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი ჩემ ძმასავით სარჩობელაზე და მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის“...

წერილი აღსარება, წერილი ბრალდება, ყველაფერი მწუხარე ნათელი მოეფინა.

ეს „პატარა ამბავი“ საქრისტიანო საქართველოში ხდება. „საქრისტიანო საქართველოს“ უწოდებენ თავიანთ ქვეყანას პეტრეს თანმხლები მეურმეები.

ორი უბედური ობოლი ძმის სამშობლო საქრისტიანო საქართველოა ახმიანებული ზარივით ჩაგვესმის –„მძულს ქვეყანა, ადამიანი უფრო“!

თუ ამ პირზე რძეშეუშრობელ ბავშვებს ჟამი უდგათ „სიძულვილისა“ და სული „სიძულვილით“ აჭრელებიათ, ერთადერთი კეთილი პეტრე ანათებს ქარში დანთებული ეული სანთელივით „ლაფიანი სინამდვილის“ თვალშეუდგამ წყვდიადს.

ძმის ჩამოხრჩობის შემსწრე ქვეყნის სიძულვილით დასნეულებული ობოლი სახრჩობელასთან თავმოყრილ ბრბოში ძველ ნაცნობს კეთილ პეტრეს შეიცნობს და მასთან მიდის აღსარებისთვის. პეტრე „საქრისტიანო საქართველოს“ სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. ადამიანები ზნეობრივ გაკვეთილს ძნელად ითვისებენ. მაგრამ პეტრეს მადლიანი საქციელი მაინც აღიბეჭდა უსახელო ობლის მეხსიერებაში, როგორც სიყვარულის, გულკეთილობის გამოსხივება: „შენმა გულკეთილობამ ტკბილი ნაღველი ჩამისახა გულში, აქამდის კიდევ გულში მიღვივის, როგორც ნაცრის ქვეშ შენახული ნაღვერდალი. ისიც გაქრება ვიცი“.

სახრჩობელა აღმართულია, მაგრამ გადარჩენილ უსახელო შვილს, ობოლ ძმას კაცთმოძულესა და გაბოროტებულს მისი შიში არა აქვს: „... თუ როდისმე ჩემი ნახვა მოიწადინო, მოდი და მეც ჩემ ძმასავით სარჩობელაზედ მნახე. ჩემი ბოლო ეგ არის“.

ერთი ობოლი ძმა, ბეჟანი ჩამოახრჩვეს, მეორე ობოლი ძმაც სახრჩობელისკენ მიმავალ სისხლიან ბილიკს ადგას.

განაჩენი აღსრულებულია. ახალი განაჩენიც აღსრულდება, სახრჩობელა მორიგ მსხვერპლს ელის.

ოჯახი ადამიანთა მოდგმის ყველაზე დიდი მონაპოვარია. ოჯახის სახე საუკუნეების მაძილზე იქმნებოდა და იხვეწებოდა. სრულფასოვანი ოჯახი თავის თავში აშინაარსებს მშობლებს და შვილებს. რაც უფრო ძველი და ძლიერია ტრადიცია, მით უფრო დიდია ოჯახი. მამა ეკონომიკური ადამიანის ტიპია, მატერიალური საწყისის წარმომადგენელი, დედა სულიერ საწყისს განასახიერებს, დედაბოძია. დედაბოძის გარეშე ოჯახი ინგრევა. ეს არ ნიშნავს მამის პიროვნებაში სულიერი ღირებულებების: სიყვარულის, სიკეთის, სათნოების უგულებელყოფას, ანდა პირიქით, ამ ორი საწყისის ჰარმონიული შერწყმა და ყოველივე ეს „ბედნიერი მეუღლეობით დაგვირგვინებული“ ქმნის ტრადიციულ, სრულყოფილ ოჯახს, სადაც უნდა აღიზარდოს ბავშვი, ერის მომავალი.

ჯოუდების ოჯახის მაგალითი:

შიმშილისგან დაოსებულები არიან, მაგრამ ოჯახის ზნეობრივი ცარგვალი სუფთაა, შეუბღალავი, სიკეთით, სიყვარულით სავსე. ციხიდან დაბრუნებული შვილის სულიერი ჯანმრთელობა ვიცით როგორ შეამოწა დედამ. შვილის თანმხლები კეისი მანამ არ შეივრდომეს და შეიკედლეს, სანამ არ ითათბირეს, სანამ არ აიწონ-დაიწონა, უცხოსთვის ჯოუდების კარიც არ იღება იოლად.

ითათბირეს, იჭოჭმანეს, დედამ ხომ არ იცის, ვინაა უცხო, როგორია იგი, იუდას მსახურია თუ...

გზად შიმშილი უფრო და უფრო გაურჩხულდება. მეტის გაძლება აღარ შეუძლიათ შვილებს. განცალკევებას, განთვითეულებას მოინდომებენ. დედა ჯოუდი კატეგორიულად, გადაჭრით განუცხადებს ქმარ-შვილს: „როცა მგლები თავს ესხმიან საქონლებს, ძროხები შეჯგუფდებიან ხოლმე. მე არ მეშინია, როცა ერთად ვართ. ოჯახის დანგრევის ნებას არ მოგცემთ“.

დედა, დედაბოძი, ნების გამგებელი, ოჯახის დანგრევის უფლებას არავის მისცემს. ასეთი დედის ოჯახი, აკი ვთქვით, არასდროს დაინგრევა.

„სარჩობელაზედ“ მრავალპერსონაჟიანი მოთხრობა არ გახლავთ. გაანაბრებული ხალხის ფონზე ცხადად და გამოკვეთილად პეტრე და ორი ობოლი ძმა მოჩანს. გამოკვეთილად და ცხადად. დრო და სივრცე განგებ შემოსაზღვრულია და შევიწროებული. ილია უსახელო დედის შესახებ არაფერს გვეუბნება, იგი თითქმის გაუჩინარებულა თვალსანიერიდან, მამინაცვალთან ერთად გააბსტრაქტირებულია როგორც ბედისწერა. პასიურ სახედაც შეიძლება აღიქვას მკითხველმა ერთი შეხედვი თ. მხოლოდ ერთი შეხედვით დედაზე აუგის თქმა ცოდვად ითვლება ოდითგან. სიმართლე ცოდვად არ შეიძლება ჩაითვალოს. უსახელო დედამ დაუნგრია შვილებს ოჯახი, მოუშალა ბუდე, სული სიძულვილით დაუნიადაგა, სახრჩობელისკენ მიმავალ გზაზე დააკვალიანა.

შვილები დედამ გასწირა.

დედაშვილობა სიცოცხლის ყოველგვარ გამოვლინებაში არსებობს. ცხოველთა სამყაროში დედაშვილობის ინსტინქტი გრძნობადაც ქცეულა ზოგჯერ.

აქ, ქართულ „ლაფიან სინამდვილეში“ დედაშვილობის გრძნობაც არ იციან, უსახელო დედას სახე დაუკარგავს დედისა, გათქვეფილა. ობოლ ძმათა გარშემოც არავინ არს, რომელმანმცა ქმნა კეთილი“.

უარყოფილია სიცოცხლე. –

„მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო“.

უბედურებაა დამონებული ერის შვილობა, უბედურებაა „სხვის სხეულში“ თვლემა.

მოთხრობაში ობლების და უსახელო დედის გამოჩენა არ უნდა მივიჩნიოთ მოულოდნელად.

ობლობა, უოჯახობა ხვედრია ილიას გმირებისა. ისინი ან დედით არიან ობოლი, ან-მამით, ოჯახი ან დანგრეული აქვთ, ან ენგრევათ ძალადობის, უსამართლობის გამო.

ლუარსაბი ობოლია, ორი წლისას დედა გარდაეცვალა, რვა წლისას მამა. უდედმამოდ გაზრდილი, უმეცრების გარემომ მუცელქეიფა, სალაფავს დახარბებული არარსად აქცია. უფროსმა ძმამ ათ თუმნად გაჰყიდა. კი იჭოჭმანა დავითმა, ძმას როგორ გავყიდიო, მაგრამ მაინც გაყიდა! („კაცია-ადამიანი“?!).

გაბრიელი დედით ობოლია, სულთამხუთავ დედინაცვალთან ოჯახში ყოფნას ბატონთან სამსახური ამჯობინა, „ბატონისა გამო“ მარტოდმარტო უცხოობაში დალევს სულს, („გლახის ნაამბობი“).

კაკო მიუსაფარია, უსახლკარო, ზაქროს, დედით ობოლს, მრისხანე ბატონმა თვალწინ მოუკლა. ბატონი სიცოცხლეს გამოასალმა კაკოსთან ერთად ტყეს შეაფარებს თავს („რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“).

ოთარაანთ ქვრივის გიორგი მამით ობოლი ვარგებულ კაცად გაზრდილი ბატონის კარზე სიყვარულის მაძიებელი, ბატონის სახლში გარდაიცვალა, როგორც ვხედავთ, არ არის მშვიდობა „სახლსა ამას“.

ძმა ძმას არ ინდობს, მოყვასი მოყვასს, ნათესავი ნათესავს.

ჩვენი მოთხრობის ობლები განსხვავებული ბედისანი არიან. დედამ ცოცხლად თვითონ დაისამარა თავი. მამით ობლები დედით ობლებიც შეიქმნენ. უსახელო დედის რეალური სახე იმპერიის ფარეხში მოქცეული ქვეყნის სინამდვილეშიც ილანდება და კაი ყმათა ნაზრევშიც.

მე-19 საუკუნის საქართველო მხოლოდ „უკაცურ-კაცთა „საცხოვრისი არ იყო. ილიამ, ვაჟამ, აკაკიმ ქალის მიმართაც არაერთგზის გამოთქვეს გულისტკივილი და საყვედური.

„ქალისთვის ეს წუთისოფელი სასეირო წალკოტია, ვაი, რომ დედაკაცნი წავიდნენ, არა გვყვანან და მარტო ქალებიღა დაგვრჩნენ და ჩვენის ფიქრით, აქ არის სხვათა შორის სათავე ჩვენი უბედურებისა“.

ილიას ფიქრით – სად ყოფილა სათავე უბედურებისა!

„ჩამაცვი, დამახურე, მალხინე, მაფარფაშე, აი, ჩვენი ქალების აღსარება. მაშ, რაღა შვილებს გამოგვიზრდიან ისინი“? – გულისტკივილით ამბობს აკაკი.

ვაჟას თხოვნა-მუდარა-ვედრებას მოვუსმინოთ ახლა: „მოდავ, შენი შვილების ლხენასა შეაყვარე ჩვენს ქალებს ქართული“, „ჩვენს ქალებს სულიერი ანბანის გარდა ენაც მოძულებიათ მშობლიური“.

უდედოდ, უოჯახოდ შვილი არ იზრდება –„ჟამი არს სიძულვილისა, „მძულს ქვეყანა და ადამიანი უფრო“ – ეს მსჯავრიცაა და ლაფიანი სინამდვილის უარყოფაც.

ფიქრია ყაფლანიშვილი

არ მომკლა, მაია!

ვუძღვნი აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას

აშკარად ცუდი სუნი მაქვს, რადგან ღია კარებიდან ეზოს გალავნამდე გამოშლილ ხალხს სახეზე ცხვირსახოცები აქვთ აფარებული ან მარაოებით ინიავებენ ჰაერს.ჩემს გვერდით დედა ზის დაოსებული, დასიებული ქუთუთოებიდან თვალები არ მოუჩანს, სახე წითელი ლაქებით აქვს აჭრელებული, შუბლიდან სანახევროდ გადასძრობია შავი თავსაფარი და სველი თმა მოუჩანს. დედაჩემის უკან, კედელთან მიდგმულ სკამებზე თალხი სამოსით სხედან ნათესავები. კუთხესი მაიკო ზის... გრძელი, შავი კაბა აცვია მაგრამ მაინც უჩანს თლილი წვივები, მე რომ ასე მაღელვებდა, მისი ხმა არ ისმის, სახე მუჭში აქვს მოქცეული, მხრები უცახცახებს, თმები ყურს უკან აქვს შეკრული, თავდახრილს გრძელი, ლამაზი კისერი უჩანს... უხდება შავი...

ჩემს ირგვლივ იმდენი ყვავილია, რომ ორ მაღაზიას ეყოფა...

აქ დედა ტირის... ტირის... ტირის... არა და ასე, შეიძლება მოკვდეს, არ შემიძლია ყურება... ადრე ჩემი ძმა იწვა საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში და და დედა ისე ტიროდა და იმდენი ხანი, რომ მოთმინება დავკარგე და ისე ვუყვირე, რომ ექთანმა შეშინებულმა მთხოვა სიმშვიდე დაიცავითო. ვერ ვიტან ცრემლებს, მით უფრო დედის ცრემლებს... ნეტავ მას არ აწუხებს ჩემი სუნი?მოიცა, ახლოს მივიდე, ფუუ, რას მიგავს სახე, რა საძაგლობაა... როგორ ვჭამდი ხორცს? არასოდეს აღარ შევჭამ, თუმცა...

უცხო ბიჭები მივლიან გარშემო, არცერთი არ მეცნობა, ნაღვლიანი სახეები აქვთ, თვალს მარიდებენ, გარშემო მყოფთ აკვირდებიან... „წვივები დამალე, მაიკოოო".

გალობენ ლამაზად და ხმადაბლა... აუ, ბაჩო რას ტირის, ჩემი უბნელი ბაჩო... თავთან დამდგომია და ბავშვივით სლუკუნებს. დედამ ფეხზე ხელები შემოხვია და თავი მიადო, ბაჩომ სლუკუნს უმატა, ახი არ არის ახლა მივიდე და თავში წამოვარტყა? არადა ჩემი მეჯვარე უნდა ყოფილიყო სექტემბერში, ჩემი და მაიკოს ქორწილში. – პიჯაკს მე გიყიდიო – მეორე დღესვე გარბოდა საყიდლად, როდესაც ქორწილის შესახებ ვუთხარი, ეს იყო ორი თვის უკან, ზუსტად ივნისში.

– მოიცა, ბიჭო სექტემბრამდე იქნებ ვკვდები-მეთქი

– ეეე, უბერავ, ამინმა არ ჩამოიაროსოოო – ...მაგრად დავცინეთ.

გავედი გარეთ, თორემ ავდუღდი ამათი საცოდაობით აგერ დავჯდები, ვაშლის ხესთან... აგე! თოკო, ზურა, ქემელა, სანდრიკა, წიპა... თითქოს ცხვირები დაგრძელებიათ და დაბოღმილები ქაჩავენ სიგარეტს

თორნიკე როდიდან ეწევა ნეტავ? თაზო „ქემელის" გარდა სხვა სიგარეტს არ ეწევა, ამიტომ შევარქვით „ქემელა" ერთი პერიოდი გაქრა ქალაქში ქემელი და თაზო ორმაგს აძლევდა ძლივ ნაშოვნ სიგარეტში... წიპა – კიდევ, კლასელი უყვარდა, ნათია, მეთერთმეტე კლასის ბანკეტიდან მოსტაცეს და გულამომჯდარი ტიროდა...

– რას იწირპლებიო – სანდრიკამ, – წამო გოგო ვიპოვოთ და ახლა ჩვენ მოვიტაცოთო... მას შემდეგ შევარქვით „წიპა"... ნათია კი იმ ბიჭს დარჩა, ვინც მოიტაცა.

„ეეჰ, რეზიც წავიდა, ახლა ალბათ მეც წავალ... წავალ და წავიდე, მაგის დედაც ვატირე"

– მოიცა, ეს რა მჭირს? ქემელას ფიქრებში შევძვერი? რა მაგარია? ეს როგორ ხდება? ფილმი მაქვს ნანახი, „რა სურთ ქალებს" თუ რაღაც ასეთი, მთავარ გმირს დენი დაარტყამს და ქალების ფიქრების ამოცნობა შეუძლია.

„ქეთის შევხვდები დღეს და გავუიასნებ, თუ არა და ერთი მაგისიც" – ეს ვინ არის ქემელას გვერდით რატომ დგას? ვერ ვცნობ."

„ნახალოვკელი ძროხა... წამალი კი არა ნაგავია, სხვა ბარიგას ავაგდებ, გელას დავურეკავ და მოაგვარებს."

რა ყვირილია შიგნით? დედაჩემს გული წასვლია და ასულიერებენ. მაიკოს ხელები აუფარებია სახეზე და ხმამაღლა ტირის, მხრები უთრთის." რა მეშველება ღმერთო, ფეხმძიმედ რომ დავრჩე? ღმერთო ოღონდ არა.. მეც თავს მოვიკლავ... ახლა რომ რეზი გაცოცხლდებოდეს.. ოღონდ გაცოცხლდეს... იქნებ არც არის მკვდარი და ეს ყველაფერი ნამდვილი არ არის?" თითებშუა გამოიხედა ჩემსკენ და ტირილს უმატა.

ესეც ახალი ამბავი... მაია შეიძლება ფეხმძიმედაა, რა ვქნა? უფრო სწორედ, რა უნდა ქნას? ღმერთო, დავღუპე საწყალი გოგო... „რეზი, მეშინია, რეზი" ჩურჩულებდა თვალდახუჭული, ნუ მიყურებო, მთხოვდა... მე მისი ვნებიანი თვალები მაგიჟებდა და თვალებს როგორ მოვხუჭავდი, ის ყოველთვის საოცრად ნაზი იყო, ნაზი და ქალური, სექტემბერში ქორწილი უნდა გვქონოდა... მამამ აუცილებლად დიდი ქორწილი უნდა გადავიხადოთო... საბერძნეთშია მამა, აჩის უთხრა, რეზის ქორწილს რომ მოვრჩებით, შენც წაგიყვანო. აჩიკოს არ უნდა წასვლა, უკრაინიდან გოგომ ჩამოაკითხა და მთაწმინდაზე ცხოვრობენ, არც დედამ იცის, არც მამამ, აჩი ხან იქ არის ხან სახლშია

– ბიჭო, ცოლი თუა, თქვი მეთქი

– არაო – თავი გაიგიჟა, არა და ერთი წელია უკვე ერთად არიან... დინა ჰქვია, ლამაზი გოგოა, კაზინოში მუშაობს...

– ფულს ვაგროვებ, მინდა ბინა ვიყიდო და თბილისში დავრჩეო – საიდუმლოდ მითხრა

... დედას სახეზე ფერი მოუვიდა, ქალები ეჩხუბებიან, იქნებ რაიმე შეჭამოო, ჯიუტად აქნევს თავს, თმები შუბლზე აქვს მიწებილი... " ვითომ შიმშილით მომივიდა? რა მაჭმევს რეზის დამკარგავს.. ნეტავ მოვკვდე, ნეტავ! ოღონდ ახლა მოვკვდებოდე და თუნდაც ჯოჯოხეთში მოვხვდე... აჩიკო რატომ იგვიანებს?... ვაი თუ ისიც? არა! არა! არა!... დედამ თავი გააქნია და ფიქრი შეწყვიტა...

ეეჰ, დროზე წამათრიონ.. დავიღალე.. ისევ გარეთ ყოფნა ჯობია.. ეს ვინ ატუზულა ხესთან? აჩიკოა? ხომ არ ვგიჟდები? – აჩი! აქ რა გინდა ბიჭო?!... რატომ არავინ ესალმება? რატომ არ უსამძიმრებენ? რატომ ომის ამბავს არ ეკითხებიან?... ვერავინ ვერ ხედავს!!! აშკარად ვერ ხედავენ! – აჩი, ძმაო!! აჩი!... ვაიმე დედაააა!...

– შენც მოგკლეს ბიჭო?

– ჰო..

– რა ჰო, ბიჭო, არ გამაგიჟო, მერე და სადა ხარ?

– აქ ვარ, – გაღიმებას ცდილობს...

– ჰო მაგრამ... დანარჩენი? – თურმე რა კარგი ყოფილა როცა ტირილი შემეძლო...

– სოფელ ტყვიავთან ვგდივარ თხრილში, დედას ნაჩუქარი ღვთისმშობელი შემხსნა დახვრეტამდე, ვიღაც კაზაკმა

– დინამ იცის?

– არა, პირველად აქ მოვედი, რა ვქნათ ახლა? შენ კი წახვალ ორმოც დღეში, მაგრამ მე თუ ვერ მიპოვეს სამუდამო ხეტიალი მომიწევს აქეთ-იქით.

– დედა ნახე?

– ვერ შევდივარ.. რომ დამინახოს, ნამდვილად მოკვდება..

– მიდი ბიჭო შედი, რას დაგინახავს... იქ მაიკოა.

– მამა ჩამოვიდა?

ჰო. ერთ საათში აქ იქნება. მოვა და წამიყვანენ

– შემყვები? – საცოდავად შემომხედა

– წამო!

... დედას მგონი ძინავს, ისე ჩაუკიდია თავი.. მაიკო კედელს უყურებს" ისე კარგიც კია, რეზისგან თუ შვილი დამრჩება, მე ხომ არასოდეს არავინ არ შემიყვარდება, რეზის დავარქმევ"

– ნუ ფიქრობ ამდენს, მაიკოოო..

.... "ნეტავ იყიდეს სტენკა? რას ამოარჩევდნენ უჩემოდ, ბედოვლათები"... ეს დეიდაჩემია... აი თურმე რატომ არ მიყვარდა არასოდეს

– დამპალი!

– ვინ?

– არავინ, აჩი, შენ შეგიძლია მიხვდე. ვინ რას ფიქრობს აქ მყოფებიდან?

– ხომ არ გაგიჟდი? აუუ, რას გავს დედა...

– ხუთი დღეა არაფერი უჭამია!

... გარედან ხმამაღალი ტირილი და შეძახილი გაისმა, გავქანდით... მამაჩვენი იდგა ალაყაფთან გაფითრებული და შემოსვლას ვერ ბედავდა... " ვაიმე რეზიიი, სადა ხარ მამა!" ოდნავგასაგონად ბუტბუტებდა..

ჩემი ძმა შემეცოდა, მართალი ყოფილა, რომ ამბობენ, უპატრონო მკვდარზე საცოდავი არაფერიაო

– გიპოვიან აჩო, ნუ გეშინია!

– ჰო... ალბათ

მამას შევყევითი, დეიდაჩვენის "სტენკით" გამოტენილ ფიქრში მამაჩვენის მოსვლაც შეძვრა და თავგატეხილივით აკივლდა... დედას რეაქცია არ ჰქონია არადა, სამი წელია წასულია მამა. კონტრაქტით მუშაობს და წელიწადში ერთხელ ჩამოდის.. მამა ჩემს თავთან გაჩერდა.. დამაკვირდა და დაიქუხა... მუშტებს მკერდზე იცემდა და მსხვილ ცრემლებს ყრიდა.. ვაიმე შვილოოოო... მერე დედას მოეხვია მხრებზე...

– უყურე შენ? რა მაგარი მეგონა! ეეე, ბებერო, არა გრცხვენია?

– ნეტავ არ მიპოვიდნენ – თქვა აჩიმ – მთელი ცხოვრება უსანთლოდ ვიხეტიალებ, ოღონდ ამათ საცოდაობას არ ვუყურო..

– რა გვიქნეს ამ ახვრებმა! კიდევ ბევრნი ჩაწვნენ?

– საავადმყოფოს სარდაფში ჩაყარეს, მერე დაიბომბა ის შენობა, ალბათ იქ ამოლპებიან, თუ არ ამოიყვანეს.

კიბეებზე შაოსნები ჩამოდიოდნენ..

– მაიკო როგორ გამხდარა – თქვა აჩიმ.

– ახლა გამასვენებენ..

– რა ეშველება ახლა მაგ გოგოს?

– არ ვიცი, დინა? დინა წავა თბილისიდან?

– შეიძლება არც წავიდეს.

– რატომ არ მოგყავდა ცოლად?

– ქართველი გოგო მინდოდა..

– სულელი ხარ. დინას უყვარხარ...

– ვუყვარდი.. რა ვიცი.. იქნებ მომეყვანა კიდეც. სად დაგმარხავენ?

– ბაბუას გვერდით

– გულზე უნდა დაემარხე და ჩემი ადგილიც იქნებოდა.. მე თუ მიპოვეს, ალბათ მე დამმარხავენ ბაბუას გულზე..

მანქანებს გავყევით. სანდრიკა იჯდა საჭესთან..

– ფუ მე ამათი.. იყვირა უცებ.. – რა გაგვიკეთეს ამ ახვრებმა... მე ამათი დედა ვატირე!

– ეგენი ჩვენს დედებს ატირებენ საუკუნეებია – თქვა წიპამ – რას ვეჭიდავებით ამხელა იმპერიას? რეზის ნაცვლად რამდენი ჩაწვა იქ და რა?

– აფხაზეთიც დიდი ტყეული იყო. მომბეზრდა გაყიდული მიწის დაცვა – ქემელამ გულიანად შეიგინა და ფანჯრიდან გადააწიტა..

– არ არის ტყეული, ძმებო მე ხვალვე წავალ და ერთს ხომ მაინც ჩავაძაღლებ რეზის სახელზე? – აჩის ამბავიც ვერ არის კარგად, ხომ არ დაბრიდეს იმ ნაბიჭვრებმა? ნაღდად ასეა... აუუუ მე მაგათი...

...დედას კიდევ წაუვიდა გული, როდესაც მიწას მაყრიდნენ... ბაბუა გოროზად გვიყურებდა მარმარილოდან... ულვაშზე დიდი ბუზი დააჯდა...

– აქშა! – ხელი ავუქნიე – ბუზს ადგილი არ შეუცვლია..

– რა საცოდავები ვართ! – თქვა აჩიკომ – წავედით... წავედით...

●

მესამე დღეს, ხელკავით გამოიყვანეს დედა მანქანიდან მამამ და მამიდამ და საფლავთან, სკამზე დასვეს. მე არ ვუყურებდი მიმქრალ დედაჩემს, რომ მისი ფიქრები არ ამომეკითხა.

მე და აჩიკომ წასვლა გადავწყვიტეთ.

გორში მგლოვიარე, შავი სახლები და სიცარიელეში შეჭრილი დამაიმედებლად ლურჯი ცა დაგვხვდა დანგრეულ კედლებთან მოხუცი ქალი იჯდა, მუხლზემოთ აწეული კაბიდან არშიებიანი პერანგი და ვენებგამობერილი ფეხები უჩანდა. შორს, ჩვენს მიღმა იხედებოდა და მე მივხვდი, არაფერს არ უყურებდნენ მისი თვალები...

აჩის არ გასჭირვებია თავისი თავის პოვნა, თხრილში იწვა და თითქმის არ ჩანდა..

– ოჰო, მშვენივრად მოწყობილხარ?

●

– დაბლიდან წყალი მაქვს და მაღლიდან ხის ტოტები მიცავს სიცხისგან..

დიდხანს დავცქეროდი ძმის სახეს, მართლა საცოდავები ვიყავით.. მე, ორმოც დღეში, დიდი ტანჯვის, საზვერეებში ბრძოლის, ყოველი ცოდვის გამოსყიდვის ფასად სადღაც დავიდებდი ბინას, აჩის რა ეშველებოდა?

– წამო, ვინ გაჩვენო? – ნახევარ კილომეტრში ჩვენი უბნის ცნობილი მოთამაშის, რამაზას ცხედარი ეგდო პირღია...

– თვითონ ალბათ რომელიმე კაზინოში ზის და მოკლეკაბიან კრუპიეს შესცქერის ნაღვლიანად. თუ რამაზაც ვერ იპოვეს, ერთად მაგრად მოვილხენთ. წამო, კიდევ უნდა განახო რაღაც, ბარემ ბოლომდე დავიტანჯოთ.

... საავადმყოფოს ნანაგრევებში ქვებსა და აგურებს შორის ვძვრებო-

დით, სარდაფი ყარდა... ყარდა და სავსე იყო ერთმანეთზე მიყრილი ადამიანებით..

– ეეე, ბიჭებო! – ჩავძახე

– აქ რას გაჩერდებოდნენ, სახლში წავიდოდა ყველა.

– ბიჭეებოო!!

– ეეე!! – გამაგონა ვიღაცამ დაბლიდან.

– აქეთ! აქეთ წამოდით!

– გამარჯობათ! – თქვა ამოსულმა და გაიმართა – აქაურები ხართ? – აქოთებულ სარდაფზე გვანიშნა.

– არა, ეს თხრილში გდია სოფელთან, მე უკვე დამკრძალეს..

– გაგმართლებია ძმაო... მე ლევანა ვარ, ხიდისთაველი.

– სალამი ლევან!

– სალამი ძმებო! რა ხდება ქვეყნად?

●

აჩიკოს დინას ნახვა უნდოდა და თბილისისკენ წავედით. ფანჯრები ღია ჰქონდა დინას და სამების საკათედრო ტაძარი ჩანდა.. ულამაზესი და უზარმაზარი...

გოგო დივანზე იჯდა ფეხებაკეცილი და ახლად ლაქწასმულ ფრჩხილებს დაჰყურებდა. ოთახში აცეტონის სუნი იდგა.

მართლა ლამაზია დინა, აჩიმ ათჯერ მაინც იჩხუბა მის გამო. ლამაზია მაგრამ თითქოს მაინც რაღაც აკლია, ის რაც ჩემს მაიკოს აქვს!.. ჰმ! ჩემს...

დინა რუსულ არხებდე რაღაცას ეძებდა.

– ეეჰ, წავედით, აქ ვერაფერს გავიგებთ...

... მეზობელ სახლში შევიპარეთ, ფართო ოთახში პატარა ბავშვი დაქროდა ველოსიპედით, ტელევიზორს არავინ უსმენდა, ა.შ.შ. ს საგარეო საქმეთა მდივანი, საქართველო რუსეთის სამშვიდობო ხელშეკრულების დარღვევაზე ამცნობდა დანარჩენ მსოფლიოს. უკანა პლანზე, მსოფლიო ომის დროს დაბადებული და პარალიჩიანი, ბებერი გაერო ჩანდა.

– სისულელეა ყველაფერი! – ვთქვი და ოთახიდან გავედი.. ლამაზი სახლი იყო, ძალიან მდიდრული... სამზარეულოში ვიღაც ქალი ხორცს წვავდა... კრიალა საპირფარეშოში ჟასმინის სუნი ტრიალებდა.. ერთ ერთ საძინებელში ქალის ლამაზი ზურგი და გრძელი, ყვითელი თმა დავინახე, თავდავიწყებით ბუქნავდა, ვნებაში იყო ჩაძირული.. კაცს საჯდომზე ხელები მოეხვია და დროდადრო ხელებს უტკაცუნებდა." მე არასოდეს შემიყვარდებოდა ასეთი მაია"...

– სად იყავი? – მკითხა ლევანმა

– არსად!

ლევანმა გაიცინა – ეს ის ერთადერთი ადგილია, სადაც ჩვენ შეგვიძლია ყოფნა.

– ასეც არ არის ძმაო – აჩი ჭიშკრის ჩუქურთმაში გაძვრა – ჩვენ კი ვართ, მაგრამ სხვები ვერ გვხედავენ, ეს არ ყოფნას კი არა სხვა განზომილებაში ყოფნას ნიშნავს, პრივილიგია გვაქვს მათთან შედარებით, ჩვენ ვხედავთ, ისინი ვერა.

– ეეეჰ, წავედი ვნახე, ჩემები როგორ არიან – ლევანი დაგვემშვიდობა.

ჩვენს ოთახში დავბრუნდით.. ძველებურად იყო ყველაფერი.. ბეისბოლის ბურთი თაროზე.. თხელყდიანი წიგნები სპორტზე და ათასი სხვა რამ...

დედა ცუდად იყო და თვალდახუჭული კვნესოდა

მამა გრძელი სუფრის თავში იჯდა. ნათესავები და მეზობლები ჩემს შესანდობარს სვამდნენ და მე ისევ შემრცხვა აჩის, კაკო ძიამ მხალი გადაუღო მამას თეფშზე, მამამ თავი გააქნია..

– მიდი კაცო, ხომ არ გაგიჟდი? ცოდოა აჩიკო ასეთ დღეში რომ გნახოთ!

– ვინ იცის, იქნებ ისიც აღარ მყავს? – მამამ ჩანგლიანი ხელი მაგიდის კუთხეს დასცხო, მერე უცებ საჭმელს დააცხრა, ყბებს ისე მაგრად იქნევდა, ნერვი უხტოდა საფეთქლდან ყელამდე.

– მიდი, ბებერო, მიდი! – ჯანზე უნდა იყო მამა! ახლა შენა ხარ ყველაფერი!

... ათი ჭიქა ღვინო დალია, რაც დავითვალე, მერე ადგა და დედასთან შევიდა – ნუ გადამირევ იმ ბავშვს, ცოტა მოძლიერდი, ცოცხლები ვჭირდებით! – აჩის ელოდებოდა...

... დილით მზის ამოსვლამდე გავიღვიძე, და ეზოში, აივნიდან განთიადის სასწაულს დავესწარი.. ქუჩა გაცოცხლდა..ადამიანებმა გაიღვიძეს... სწრაფად მომავალი მაიკო დავინახე. რომ მომიახლოვდა, მეგონა ამოიხედავდა, მაგრამ სწრაფად ჩამიარა

„სად მიგეჩქარება, მაიკოო?"

ტაქსიში ჩაჯდა და შუშა ჩამოსწია.

– მუხათგვერდში!

მძღოლმა სარკე შეასწორა და მაიას შეხედა, „გზას უყურე ბაბუ!"

– დამელოდებით? მაიამ ცალი ფეხი გადადგა მანქანიდან, კაცმა თავი დაუქნია, რადიო ჩართო და საზურგეზე თავმიდებული ჩასათვლემად მოემზადა..

... მაია ახლად მიწა მიყრილ საფლათან ჩაჯდა და ატირდა... მე მიხაროდა მისი ცრემლები... სიგიჟემდე მომინდა მისი ხელში აყვანა... " შენ გენაცვალე გოგო".. როგორ მიყვარს და ვის ვუტოვებ?

– სად დადიხარ ბიჭო? – აჩი დედას ოთახში იჯდა.

– მაიკოს ვახლდი მუხათგვერდში!

●

დედა იწვა, მამა სვამდა და აჩის ელოდა, ჩვენ მეზობლის სახლში ტელევიზორთან ვისხედით და საიმფორმაციოებს ველოდებოდით – ახლა ჩუმადო – იტყოდა დათა და ბავშვები გარეთ გაყავდათ ქალებს.

ვარდების მოედანზე ლექსების, ლოზუნგების და პატრიოტული შეძახილების კორიანტელი იდგა. ერთი მიკროფონთან იდგა, დანარჩენებს ბუსუსებათ აყრიდათ კანზე, აღტაცება, შიში და სამშობლოს სიყვარული. ბევრი დროის მოსაკლავად იყო მისული...

– ეეჰ, არჩილიც მკვდარია, ვიცი – მაცივრიდან ლუდი გამოიღო დათამ – მკვდარია ის ბიჭი!

ეტყობა მსგავსი ეჭვი მამასაც სჭამდა, რადგან დილით ადგა, ჩაიცვა და წავედიო, თქვა, ყველა მიხვდა სად და რატომ მიდიოდა მაგრამ არავინ შეპასუხებია

– სად მიდის, ტყვედ აიყვანენ ან ეგრევე მიაცხრილავენ, უნდა შევაჩეროთო, აჩიმ, აბა ჩვენ ვისი შემჩერებლები ვიყავით და უკან გავყევით მამას. კიდევ კარგი, უკან მოაბრუნეს სამხედროებმა – სად მიდიხართ, იქ ერთი კაციც აღარ დგას ჩვენი და თუ მართლა გინდათ შვილის ნახვა, სახლში დაბრუნდითო, მამა ჯიუტობდა მაგრამ არ გაუშვეს, და სახლში დავბრუნდით

რაც უფრო ახლოვდება წასვლის დღე, მით უფრო მიპყრობს შიში, ჩემს ცოდვებს ვიხსენებ.. მრავლად ამოვყარე ხსოვნის სკივრიდან.. ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ბიჭის ცხოვრებით ვიცხოვრე, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, მაიკოსთან ურთიერთობაც ცოდვად მეთვლება, არა და ყველაფერზე კარგი და ლამაზი იყო თუ რამ განმიცდია..

მოუსვენრად ვარ..

... მაიასთან მინდა...

დედამისი და მისი და სამზარეულოში, მაგიდასთან სხედან, წინ ყავის პატარა ფინჯნები უდგათ, ერთიც მაიასთვის... თავისი იასამნისფერი პირსახოცის ხალათით შემოვიდა მაია და დაჯდა... რა სურნელი აქვს მის სველ თმას.. დაჯდომის რაღაც თავისებურად სხვანაირი მანერა აქვს, სკამზე სანახევროდ ჯდება, გეგონება დავარდნის ეშინია და ტანს იმსუბუქებსო... ყავას ტუჩებით შეეხო და დადგა..

– აჯაფსანდალი გააკეთა ნიაკომ არ შეჭამ დედი?

მაიამ თავი გააქნია და ფანჯარას გახედა.

– აბა ეგრე მშიერი აპირებ ყოფნას?

– ...

– შენ კი არა, საწყალი დედამისი ვერ იკლავს თავს!

– ...

– გგონია რეზის გაუხარდებოდა ასეთ დღეში რომ ენახე?

– შენ რა იცი, რა გაუხარდებოდა რეზის? თქვა მაიამ და წამოდგა

ისევ შეგიყვარდება ვინმე, იქნებ რეზიზე კარგი ბიჭიც მოვიდეს და ისეთი სიყვარულით შეგიყვაროს...

– გაჩუმდი! – იყვირა მაიკომ – გაჩუმდით ყველა, ერთხელ და სამუდამოდ! – მერე ხმას დაუწია და ატირდა – მაპატიე, დედა! ძალიან გთხოვ, ცოტა დრო მომეცი, როგორმე მოვერევი ჩემს თავს!

ოთახიდან გავიდა და საწოლზე მუცლით დაწვა, მერე ამოტრიალდა და ჭერს დაუწყო ყურება ხელები მუცელზე ეწყო და ნელა ამოძრავებდა თითებს. " რა ლამაზი ხარ მაიკოო"

„ვგრძნობდი რომ ასე იქნებოდა, ვიცოდი! როგორ მოვიქცე? რეზი, სადა ხარ, რეზი!" მე ჰაერის ნაკადი მომაწყდა და კედელს მიმახეთქა, ეს ჩემი ელდა იყო.. მაიკო ფეხმძიმედაა, მე კი სულ მალე სამუდამოდ წავალ მისგან.. სიკვდილი ვინატრე, მაგრამ უკვე მკვდარი ვიყავი. რა კლავს სულს, რომ სამუდამოდ გაქრეს? სულს ცოდვა კლავს! მაგრამ სხეულში უნდა იყო, რომ შესცოდო, მე კი აქ ვარ უსხეულო და აღარაფერი აღარ შემიძლია!

მივუახლოვდი და შუბლზე დავადე ხელი, თვალები დახუჭა და ქუთუთოებიდან ცრემლმა გამოჟონა

"მაიკოო, ვგიჟდები შენზე!"

მოულოდნელად წამოხტა და ტელეფონს მივარდა. ის, რაც მისგან მოვისმინე, ჩემი არარსებობის, სრული გარდაცვალების და ტკივილის ტოლფასი იყო და ვნატრობდი არ მოსულიყო ის, ვისაც დაურეკა, მაგრამ ის მაინც მოვიდა და თანაც ძალიან მალეც.

კარი სიგნიდან ჩაკეტეს და განმარტოვდნენ... მაია უყვებოდა ყველაფერს ჩვენზე, მუცლად მყოფ ბავშვზე, სიყვარულზე, შიშზე... ყველაფერზე ერთდროულად ლაპარაკობდა... შეუსვენებლად. ლიკა გაფართოებული თვალებით შესცქეროდა და დროდადრო პირზე ხელს იფარებდა გაოგნებისგან. მერე მაიკო გაჩუმდა და საცოდავი თვალებით მიაჩერდა მეგობარს

– ე.ი შენ და რეზი... რატომ არ მითხარი?

– არ ვიცი... შემრცხვა, თანაც ჩვენ სექტემბერში..

– ჰო, კარგი, ახლა რეზი აღარ არის და ყველაფერი შენ უნდა გადაწყვიტო მაი!

– ექიმთან წამომყვები? მეშინია...

... აჩიკოსთან გავვარდი, მამას ეჯდა ცხირწინ და გულდასმით აკვირდებოდა

– მიშველე, აჩი! – გარეთ გამოვიყვანე – გეხვეწები რამე მოიფიქრე, მაია აბორტს იკეთებს, რამე მოიფიქრე ბიჭო!

– მოიცა – ხელიმ ამიქნია – შენ რა, იწექი მასთან?

– ჩემი შვილის მოკვლა უნდა აჩი!!

– რა ნაგავი ხარ... აჩიკომ ზურგი შემაქცია...

დილით ლევანი გვეტუმრა, ჩემები ვნახე, ჰგონიათ ცოცხალი გადავრჩი, რადგან ჩემი ცხედარი არ მიუსვენესო სახლში.

ეზოში ვისხედით, ბზების ბაღთან. სამივეს ერთი დარდი და სატკივარი გვაწუხებდა... სიცოცხლე გვინდოდა, ..

– მამა ამბობს, ხაზებია გადატვირთული და ლევანს იმიტომ ვერ ვურეკავთო, ჰოდა ეგონოთ, კარგიც კია, მაგრამ მერე ხომ მაინც გაიგებენ?... ბიჭები ვნახე სარდაფიდან... სვეტიცხოველის ეზოში ვიკრიბებით შეღამებისას...

მცხეთაში წავედით სამივე. სვეტიცხოველი სავსე იყო სალოცავად მისულებით, ერთი ორი შეშინებული ფოტოაპარატიანი ტურისტიც შესცქეროდა ტაძრის კედლებს. თითქმის ყოველ ნაბიჯზე იდგნენ ჩვენები, ერთმანეთი მოვიძიეთ. ჩვენ, "პატრონიანი მიცვალებულები " ვამშვიდებდით ბიჭებს, სწუხდნენ თუ ვერ გვიპოვეს სიმშვიდეს ვერასოდეს ვეღირსებითო. დავთქვით, რომ ჩვენი წასვლის დღეს აქ შევიკრიბებოდით და ბიჭები გაგვაცილებდნენ იქ, სადაც ძალიან მეშინოდა წასვლის...

დავიშალეთ და მე პირდაპირ მაიკოსთან წავედი.

იწვა, დედამისი საწოლთან ეჯდა და კარტოფილს აჭმევდა თეფშიდან, მერე მაიკომ თვითონ გააგრძელა ჭამა.

მეორე დილით არსად გასულა, თითქმის მთელი დღე იწვა..

არც მესამე დღეს..

მეოთხე დღეს ლიკა მოვიდა... – ცოტას გავივლით, თორე ასე გაგიჟდებაო – – უთხრა დედამისს და გავიდნენ.

– უფროსს ვთხოვე და წინასწარ გამოვართვი ხელფასის ნახევარი – ლიკამ ფული მაიკოს მიაწოდა...

●

მაიკომ გაიხადა და სააბორტო სავარძელზე ავიდა... ექიმი ქალი შეკითხვებს უსვამდა, მე არაფერი არ მესმოდა.. მაიას თვალებს ვუყურებდი და მიკვირდა, ნუთუ ჩემს გოგოს ამის გაკეთება შეეძლო? ჩემი ამ ქვეყნად არსებობის ბოლო შანსი ხელიდან მეცლებოდა და ტკივილისაგან ვიკრუნჩხებოდი." მაიამ? მაიამ რაღა ქნას ამ გაბოროტებულ და ცინიზმში მოხარშულ ხალხში?

– ნემსს გაგიკეთებ და თხუთმეტ წუთში მოვრჩებით – თქვა ექიმმა.

მაიკომ თავი წამოსწია და ქალს შეხედა, ცრემლები ღვარად ჩამოსდიოდა. უხმოდ, სულ უხმოდ ტიროდა... მე ვიყვირე, რაც ძალი და ღონე მქონდა, ზედ ყურთან ჩავყვირე... მაიკოს ყურის ბიბილო სველი ჰქონდა, ლოყიდან ცრემლის მოთეთრო ხაზი გასდევდა... ვიყვირე სასოწარკვეთილმა და მივხვდი, არ ესმოდა ჩემი, რადგან სქელი კედელი იყო ჩემსა და მას შორის მყოფი კედელი... სქელი და ყრუ... ექიმმა ნემსი მოამზადა... მე ფანჯრისკენ შევტრიალდი და გამწარებულმა ხელი ფანჯრის რაფას დავარტყი არ ვიცი ეს იმ წუთას ამოვარდნილი ქარის ბრალი იყო, სასწაულის, თუ მე მომეცა ძალა, მაგრამ რაფიდან ყვავილის მოზრდილი ქოთანი ჩამოვარდა და ნაწილებად დაიფშვნა... მაიკომ წამოიყვირა და წამოჯდა. სველი მიწა გაშლილიყო ძირს, ქოთნის ნამტვრევებში გადარჩენილი ყვავილი ეგდო.. რამოდენიმე ნამით უყურებდა ექიმი დამსხვრეულ ქოთანს და მიწიან იატაკს, მერე გამოერკვა.

– სანიტარს დავუძახებ და მოასუფთავებს – კარი გამოაღო და ვიღაცას გასძახა – სვეტა!!

მე ვიდექი ფანჯარასთან მუდარად ქცეული, უსხეულო და ტკივილით სავსე და ვჩურჩულებდი "აქა ვარ მაიკო, რეზი ვარ, გეხვეწები, ნუ მომკლავ, გოგო."... და მაია სავარძლიდან ჩამოვიდა!

– იყავი, იყავი, შენ ხელს არ შეუშლი!... სვეტაა – გასძახა ისევ და სანიტრის მოსაყვანად გავიდა... საბორტო ოთახში დაბრუნებულ ექიმს და ცოცხმომარჯვებულ სანიტარს იქ მაიკო აღარ დახვედრიათ..

მთელი ღამე მაიასთან გავატარე... ის ტრიალებდა ბორგავდა... მე მუცელზე ვეფერებოდი" დედიკოს მიმიხედე ბიჭო!" მე ვისუნთქავდი მისი თმების სურნელს და მიკვირდა რატომ არ მქონდა სურვილი, უფრო მეტის.. ბედნიერების მწვერვალზე მყოფმა გავლიე ჩემი აქ ყოფნის ბოლო დღეები... დავემშვიდობე დედას და მამას...

– თუ გინდა დარჩი – ვუთხარი აჩის – მეცოდებოდა ჩემი ძმა...

– არა, გაგაცილებთ! – მე და აჩიკომ სვეტიცხოველის გალავანზე მსხდარი ბიჭები გავარჩიეთ დილის ბინდბუნდში. ნელ ნელა გვემატებოდნენ, წამსვლელები ერთად ვიდექით, დამრჩენების გვერდით და ის იყო თენება დაიწყო, რომ პირველი ბრიგადის ჯარისკაცი, ავლაბრელი შოთა, შემოხტა გალავნის თავზე და დაიღრიალა – ბიჭებოოოო!!! ბიჭებოოო!!! ხელებს და ფეხებს ისე იქნევდა, აშკარად ცეკვას ცდილობდა... მის ზურგს უკან სვეტიცხოველი განთიადის შუქით ნათდებოდა.

– ბიჭებო! ყველანი მივდივართ, ძმებო! – თქვა და დაბლა ჩამოხტა.

– რა იცი? – შემოვეხვიეთ

– პატრიარქის ლოცვამ გვიშველა! არცერთი ჩვენიანი აქ არ დარჩება, ყველანი მივდივართ ძმებოო..

●

მზემ გააფერადა ყველაფერი.

მე თითქოს ქეჩოში ჩამავლეს ხელი და ისე ამწიეს ჰაერში. გაკვირვებულმა გადავხედე დანარჩენებს. – აჩი!! – ვიყვირე შეშინებულმა.. მაგრამ მივხვდი რომ ყველ---ა, ულებლივ ყველა ამოდიოდა მაღლა, ზეცისკენ

თვალებში მკვეთრი შუქი ვიგრძენი, რაღაც წვრილ, საოცრად წვრილ ხვრელში აღმოვჩნდი, გამიკვირდა, ასე როგორ დავპატარავდი და დავცოტავდი რომ აქ შემოვეტიე... რატომღაც აღარაფრის აღარ მეშინოდა...

... მერე ვერაფრით ვეღარ გავიხსენე, ვინ ვიყავი, რა მინდოდა და სად მივდიოდი...

სადღაც ხვრელის წვრილი ბოლოსკენ მივიწევდი, სადაც შუქივით მოსჩანდა რაღაც, კედლები მიჭერდნენ და ყველაფერს მტკენდნენ. სუნთქვა მიჭირდა, მაგრამ ვიცოდი, შუქამდე უნდა მიმეღწია, რომ ამომესუნთქა... მარტო ეს ვიცოდი...

ჟაკლინის პეპელა

ჟაკლინ კენედი და ანდრეი ვოზნესენსკი: ამერიკის პირველი ლედისა და საბჭოთა პოეტის სიყვარული რკინის ფარდის ფონზე

ჟაკლინი, ანუ ჯეკი, როგორც მას მთელი მსოფლიო ეძახდა, არა მარტო ამერიკის პირველი ლედი, არამედ ნატიფი, ღრმად მგრძნობიარე ნატურა იყო. იგი მოხიბლული იყო რუსი პოეტითა და მისი შემოქმედები თ. ვოზნესენსკი კი მის შესახებ წერდა: „ჟაკლინი (...) ჩემთვის დასავლური კულტურის ერთ-ერთი უძვირფასესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. რაფინირებული ევროპელი, ვარსკვლავური თვისებებითა და შეუმცდარი გემოვნებით... და რუსეთი მისი გატაცება იყო“. ამ მეგობრობის ისტორია, რომელიც ცივი ომისა და რკინის ფარდის ფონზე მიმდინარეობდა, დღეს განსაკუთრებით უცნაურად მოჩანს.

ანდრეი ვოზნესენსკი ამერიკაში პირველად 1961 წელს ჩავიდა. სწორედ იმ წელს გახდა ჟაკლინი პირველი ლედი. როცა პრეზიდენტის მეუღლე

რუსი პოეტის შემოქმედებით საღამოზე მივიდა, ამან პოეტს პოპულარობა შემატა და პატივმოყვარეობა დაუკმაყოფილა. თუმცა მისი მოგზაურობა ისედაც ფრიად წარმატებული იყო. „საღამოები“ ძალიან მალე გახდა მოდური და პოეზიის მოყვარულთა დიდ რაოდენობას უყრიდა თავს. ვოზნესენსკის წარმატებას ისიც უწყობდა ხელს, რომ იგი ინგლისურად ბრწყინვალედ საუბრობდა, „ოქსფორდის უნივერსიტეტის აქცენტით“, – როგორც მაშინდელი პრესა წერდა. ამიტომ მსმენელთან ურთიერთობა ძალიან უშუალო და თავისუფალი იყო. ჟაკლინზე თავად პოეტმაც და მისმა ლექსებმაც უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა, რუსული ლიტერატურა მისი ერთ-ერთი გატაცება იყო. სხვათა შორის, ამერიკის პირველ ლედის ბრწყინვალე განათლება ჰქონდა. იგი ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში სწავლობდა და ხელოვნების ბაკალავრი იყო ფრანგული ლიტერატურის განხრით. შემდეგ იგი კორესპონდენტად მუშაობდა, მოგვიანებით კი გამომცემლობის რედაქტორი იყო, ამზადებდა მწერლების წიგნებს გამოსაცემად და ამიტომ ვოზნესენსკის შემოქმედებამ მასში პროფესიული ინტერესიც გააღვივა.

პირადად ერთმანეთი მოგვიანებით, მილიარდერ პიტერ პეტერსონის მიერ მოწყობილ მიღებაზე გაიცნეს (ზოგიერთი მონაცემით, მხოლოდ 1968 წელს, გაეროს კონფერენციაზე შეხვდნენ ნიუ-იორკში, მაგრამ მათი შეხვედრა, ალბათ, უფრო ადრე მოხდა). ნებისმიერ შემთხვევაში, პოეტის ცოლი იხსენებდა, რომ პოეტი და ჟაკლინი, მათი გაცნობის შემდეგ, რეგულარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. ჯეკი პრაქტიკულად მის ყველა საღამოსა და კონცერტს ესწრებოდა. ჟაკლინი სხვა ქალაქებშიც დადიოდა პოეტის კვალდაკვალ – გამოსვლათა პროგრამა ძალიან დატვირთული იყო. ქალი ყოველთვის პირველ რიგში იჯდა. პრესას პირველი ლედის დარბაზში ფოტოგადაღება ეკრძალებოდა, მაგრამ გამოსვლების შემდეგ იგი ზოგჯერ თანხმდებოდა ფოტოგრაფირებას და არც რუსი პოეტით თავის გატაცებას მალავდა.

ანდრეი ვოზნესენსკის მეუღლე ზოია ბოგუსლავსკაია მოგვიანებით აღიარებდა: „იგი ყველგან თან დაყვებოდა მას. მე ვფიქრობ, ეს იყო ზეშთაგონებული სიყვარული – ჟაკლინი შეყვარებული იყო მის ხმაზე, რუსული პოეზიის ხმასა და რიტმიკაზე“. პოეტმა სპეციალურად თარგმნა თავისი ლექსები თავისი მაღალი წრის თაყვანისმცემლისათვის. თანამედროვეები აღნიშნავდნენ, რომ ანდრეი ვოზნესენსკის ხმას აუდიტორიაზე ჰიპნოტური ზემოქმედების მოხდენა შეეძლო, მისი პოეზიის რიტმიკა კი პირდაპირ აჯადოებდა. რუსეთში ლექსების პუბლიკისთვის კითხვა ძველი ტრადიცია იყო, იმ წლების ამერიკისთვის კი ეს მოულოდნელობა და სიახლე აღმოჩნდა. პირველი ლედი იმ ბადეში გაეხვია, რომელიც რუსი გენიოსის ტალანტისგან და მომხიბვლელობისგან იყო მოქსოვილი.

რა თქმა უნდა, თავად ჟაკლინიც ის ქალი იყო, რომელსაც ნებისმიერი მამაკაცის გადარევა შეეძლო. მიუხედავად იმისა, რომ მზეთუნახავი არ ეთქმოდა, მას განსაკუთრებული მომხიბვლელობა და სტილის არაჩვეულებრივი გრძნობა ჰქონდა, რომელთა დახმარებითაც რამდენიმე წელში მთელი თაობის მოდის ხატებად იქცა. იგი ყველას უყვარდა, მაგრამ რუსი პოეტი მასში იმ თვისებებს აფასებდა, რომლებსაც, ალბათ, რიგითი ამერიკელები იშვიათად თუ ამჩნევდნენ – არაჩვეულებრივი სინატიფე და ის, რასაც „ევროპულ ნაფიფქს“ უწოდებენ. მას ნებისმიერი ხელოვნების მიღება შეეძლო – კლასიკით დაწყებული, ყველაზე მოდური მიმდინარეობებით დამთავრებული, რაც ყოველთვის ხიბლავდა ახალგაზრდობას, მაგრამ რუსული ლიტერატურა მისი გატაცება იყო. ვოზნესენსკის ადვილად უყვარდებოდა, ეს ყველამ იცოდა, მაგრამ ასევე ყველასთვის ცნობილი იყო, რომ იმ ქალებთან ურთიერთობა, რომლებიც პოეტს უყვარდა, ჩვეულებრივ, მხოლოდ პლატონური იყო.

ანდრეი ვოზნესენსკის ცოლის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ეს პლატონური სიყვარული ძალიან დიდხანს გრძელდებოდა. მათი პირველი შეხვედრიდან მრავალი წლის შემდეგ რუსი პოეტი და ჟაკლინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, როგორც კი ამის შესაძლებლობა ჩნდებოდა – ქალი ევროპაში სპეციალურად ჩადიოდა, რომ პოეტის გამოსვლები მოესმინა, ვოზნესენსკი მას სტუმრობდა ნიუ-იორკის ბინაში, რომელიც მეხუთე ავენიუზე მდებარეობდა. ერთხელ, როცა ეს ვარსკვლავური წყვილი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში მივიდა, ადმინისტრატორებმა დარბაზებიდან ყველა მნახველი გააძევეს. ვოზნესენსკი და ჯეკი მუზეუმის ცარიელ დარბაზებში დადიოდნენ ხელიხელჩაკიდებულები და დაუსრულებლად ლაპარაკობდნენ.

საინტერესოა ასევე თავად ვოზნესენსკის მიერ გაკეთებული ერთი ნივთის ბედიც. საქმე ის გახლავთ, რომ დიდ პოეტს მხატვრული ხელოვნებაც ხელეწიფებოდა. მან აღიარა, რომ მის შემოქმედებაზე გავლენას ახდენდნენ არა ძველი დროის პოეტები, არამედ თანამედროვე ფერმწერები. ვოზნესენსკი სურათებს არ ხატავდა, მაგრამ მოსწონდა ვიდეომების – ქაღალდის ავანგარდული კომპოზიციების გაკეთება ლექსებისგან, რომლებისგანაც უცნაურ ფორმებს ქმნიდა. ერთ-ერთი ასეთი „ნაკეთობა“ პეპელა იყო, რომელსაც თავად პოეტმა „ნაბოკოვის პეპელა“ უწოდა. ვოზნესენსკის მონათხრობით, ჟაკლინი ნიუ-იორკში მის გამოფენაზე მივიდა და ამ „ნაბოკოვის პეპელას“ შეძენა მოინდომა. პოეტმა კი აჩუქა მას. ჟაკლინმა უთხრა, რომ პეპელას თავის საძინებელში დაკიდებდა, მეხუთე ავენიუზე. მერე პოეტმა ორი წლით „ითხოვა“ პეპელა, რათა პარიზში გამოფენაზე გამოეფინა. რაღაც დროის შემდეგ ვოზნესენსკი ნიუ-იორკში დაბრუნდა, უნდოდა „ნათხოვარი“ ნივთი დაებრუნებინა, მაგრამ პირდაპირ ჟაკლინის გასვენებაში მოხვდა. ჟაკლინი გარდაიცვალა, მისი ბინა კი გაყიდეს.

ქალი, რომლითაც მთელი ცხოვრება აღფრთოვანებული იყო ვოზნესენსკი, 1994 წელს გარდაიცვალა, „ჟაკლინის პეპელა“ კი გამოფენა „პოეტი და ლედის“ სიმბოლო გახდა, რომელიც მოსკოვში გაიმართა. ფოტოები, პოეტური სტრიქონები, თანამედროვეთა მოგონებები – მეგობრობისგან, რომელსაც ვერაფერი დააკლო ოკეანეებმა და გიგანტური ქვეყნების აგრესიულმა პოლიტიკამ, დღეს არც ისე ბევრი რამ დარჩა...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ლექსები

ნანა შაბათაშვილი

12 იანვარს ისრაელში, ქალაქ ბათიამში გაიმართება ცნობილი ქართველი ებრაელი პოეტის ნანა შაბათაშვილი-დავარის ხსოვნის საღამო;

ნანა შაბათაშვილს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი, ის გასული საუკუნის 80-იან წლებში , ვიდრე ისრაელში წავიდოდა, ხშირად იბეჭდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში: „ცისკარში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ნობათში“, გამოცემული აქვს არაერთი კრებული. ღონისძიებას ატარებს ქართულ-ებრაული მეგობრობის საქველმოქმედო ორგანიზაცია „გულთა კავშირი“, (პრეზიდენტი რობერტ ადარი - აჯიაშვილი). ღონისძიებაზე საქართველოდან მიწვეულნი არიან საქართველოს მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე პოეტი ბაღათერ არაბული და ქართულ-ებრაული მეგობრობის ისტორიის მუზეუმის დირექტორი, პროფესორი გივი ღამბაშიძე.

ეტლი

თითქოს ლოდებს შეჰყინვიათ ცრემლი,
მიწა გოდებს ამ ზამთარს და თოვას,
სად წასულა ვარდისფერი ეტლი,
ან ეს სევდა რისთვის დამიტოვა.
ჰო, ძვირფასო...
გაირბინა წლებმა,
მწუხრის წვიმით განიბანეს ტანი,
მე კი ისევ იმ გაზაფხულს ვგევარ,
მზით დათრობა რომ ვერ მოვასწარი.

მხატვარი ქუჩაში

რეკავს ზარი
და დეკემბრის თოვლი,
ეფინება ქუჩის ხვატს და მოლბერტს,
ის კი ხატავს...
ცა იების თრთოლვით
იმ დღის შემდეგ ცხადხილულად
მომდევს.
დრო გადის და ეპარება ჭირხლი
თმა კუნაპეტს;
მსურს საჩინო მიქონ,
ჯერაც ისევ ამჩნევია სისხლი
გადაჩეხილ ლექსის ყველა სტრიქონს.
და ჰა, გულით ამ სამყაროს მიღმა
რაიც ნახე,
რის დახატვაც შესძელ,
ყველაფერი იმ ტკივილით მიყვარს,
მზის ყვავილი რომ იღვიძებს ხეზე.
რეკავს ზარი
და დეკემბრის თოვლი
ეფინება ქუჩის ხვატს და მოლბერტს,
ის კი ხატავს...
ცა იების თრთოლვით,
იმ დღის ხილულ ზღაპარივით მომდევს.

ღამის სტუმარი

რა უცაბედად მეწვიე ქარში,
ეღვიძა ქუჩას ღამის სიზმრიდან;
და როგორც იქნა პირველად დარჩი
საკუთარ თავთან,
როგორც სიკვდილთან.
იტვირთა ღამემ იმ ცეცხლის ალი,
სადღაც სინათლე დააგუმანა;
ცა ენთო შურის ათასი თვალით,
ეს არ იცოდი, ღამის სტუმარმა.

შენც თოვლით მოხვალ

მზე სადღაც დარჩა...
და მოდგა ჩრდილი,
მერე აქა-იქ გაკრთა სამყურაც,
ცამ წვიმისფერი სევდის ბაღიდან
ქარვის ფოთლები გადმომახურა.
... და ვხარობ მიწით,
– რა ვარ?
– ბალახი!
ზეცად კი... ჩემი სული მარტვილობს,
ვით შობისწინა ღამის ქალაქი,
შენც თოვლით მოხვალ,
ვიცი, აპრილო!

* * *

სულ სხვა სინათლის
წყურვილი მავსებს,
ტალღა ხმაურით ჩემსკენ
რომ მორბის;
ზღვაო,
სულ მინდა გიცქირო ასეთს,
– გინატრებ კიდევ ამგვარად?
– როდის?!

დამაბრუნეო

დამაბრუნეო,
მევედრე და...
მოხვედ ნათელი!
მაგრამ რა დაგხვდა,
სადღა იყო ბაღი მგოსანთა?
ვისღა ელოდა გაძარცვული
მზის ხეივანი,
ანდა ეს ღამე იმ ნატვრებით
რად არ გვმოსავდა?
ვინ ჩაიმუხლა იმ ტაძართან?
ქარი თუ არის,
იქ რას აკეთებს,
რა, რა უნდა ხევის ბინადარს?
სახლი ჩემია,
მასპინძელიც თავად გახლავარ!
მზევ,
მოდი ჩემთან,
მო, ნათელო,
მოდი,
შინა ვარ!

სოკო წვიმაში

წვიმის წვეთებს გაუმართავთ მარულა,
ბალახებში სოკო ვერ დამალულა.
გაილუმპა და დარწმუნდა იმაში,
ქუდი უნდა დაეხურა წვიმაში.
პაწაწინა ზღარბუნია თერძია,
ჰო და, სოკო ზღარბუნიას ეწვია.
ასე უთხრა, – მკერავი ხარ კარგიო,
გამოჭერი ჩემი ქუდის თარგიო.
სწრაფად ჭრის და სწრაფად
კერავს ზღარბუნა,
დილით სოკომ კარზე მიუკაკუნა.
ქუდის ნახვამ გაახარა ძალიან, –
თავზე ხურავს წვიმაა თუ დარია!

პატარა ვარ

ყვავილებში ჩავიკარგე
მომაქვს დიდი თაიგული.
ჯერ ძალიან პატარა ვარ
და ამაზე მწყდება გული.

ძილისგუდა დათუნა

ბუნაგში თბილად გამოიზამთრა,
გამოიღვიძა ჭიკჭიკის ხმაზე.
ხედავს მინდორი ამწვანებულა
და მზე ცხრათვალა დაჰნათის თავზე.
ხარობს დათუნა, – ვარდფურცლობაა,
მიწა სხივებით არის გამთბარი!
მაგრამ გეთაყვა გთხოვთ, რომ
ამიხსნათ, –
როგორი იყო თეთრი ზამთარი?
ყურცქვიტამ უთხრა, – როცა გეძინა,
იდგა ყინვები და იყო თოვა,
ყველა ველოდით ჩვენთან უღრანში
თოვლის პაპა და ფიფქიაც მოვა.
და ჰა, გამოჩნდნენ, როგორც ზღაპარში,
ციდან დაეშვა მარხილი ვერცხლის.
მარხილში ება რაშები თეთრი,
ნესტოებიდან მფრქვეველი ცეცხლის.
.... საზეიმო ნაძვის გარშემო
ყველა ვმღეროდით, ვცეკვავდით
ერთად.
გამოგიტყდები, პაპას ხურჯინმა
გაგვახალისა ყველაზე მეტად.
ხურჯინში ჩემთვის იდო სტაფილო,
ტკბილი ნამცხვარი მიართვეს მელას.
ბეღურას-ფეტვი, ყვანჩალას-ყველი
და გავიხარეთ იმ ღამეს ყველამ.
– გთხოვ, გაიხსენე, თავის ხურჯინში
დათუნასთვისაც ჩადებდა რამეს.
– დიდი საათი გადმომცა შენთვის,
რომ გაღვიძებდეს ახალ წლის ღამეს.

მელას სიზმარი

საოცნებო სიზმარს ხედავს
კუდაგრძელი მელია:
რა ხანია საქათმეში
ვარიები ელიან.
აბრეშუმის ბუმბული აქვთ
და ქოჩორა თავები –
მელაკუდა მობრძანდაო
გაუღიათ კარები.
ო, რა ტკბილად კაკანებდა
ვარიების ამალა,
მაგრამ იმ დროს გაეღვიძა,
რომ იყივლა მამალმა!

ზღარბები

ზღარბუნებს რომ აცვიათ,
ნაცრისფერი ქაცვია.
შარიშურით დადიან,
სოკო უყვართ ძალიან.

აზა ბასღანიძე

მათი ქოხიც აქ არი,
არ აშინებთ ზამთარი,
ულევი აქვთ ნუგბარი,
ქოხში ათბობთ ბუხარი.

ფისო და აკვარიუმი

აკვარიუმს აკვირდება
ფისო თვალის ცეცებით.
როგორ სწრაფად სრიალებენ
წყალში ოქროს თევზები.

გეგონება მარაოა
პაწაწინა ფარფლები.
ისე ნაზად ირხევიან
მათი ცქერით დატკბები.

თევზები კი მუდამ სდუმან,
რას ფიქრობენ ნეტაო? –
ფისუნასთან მეგობრობა,
სულაც არ გვჭირდებაო.

კონცერტზე

ჩიტუნების კონცერტზე
ყველა ფრენას ლამობდა,
ვინ ასწავლათ ნეტავი,
ჭიკჭიკი და გალობა?
საიდუმლოს ამოხსნა,
ვერაფრით ვერ შევძელი.
აღარც დირიჟორი ჰყავთ,
აღარც მასწავლებელი.

სტუმრობა ფისოსთან

გაიხარა ფისუნიამ, –
სახლი მაქვსო ახალი.
მეზობლებიც მოიწვია,
შეუკვეთა ნამცხვარი.
მაგრამ, დახეთ, ფისუნასთან,
სად იყო და სად არა,
თურმე ჩუმად შეიპარა
თაგუნია პატარა.
სტუმრები რომ ეახლენ,
პაწაწინა კნუტებით,
ნამცხვრის ნაცვლად იხილეს
ცარიელი ყუთები.

შემოდგომა

მზე ღრუბლებში იმალება,
შემოდგომის დარია.
გამხმარ ფოთლებს ცეკვა-ცეკვით,
სადღაც მიუხარია.

და გასრულდა ფოთოლცვენით
შემოდგომის ზღაპარი –
ოქროსფერი ბილიკებით
მოდის ჩუმად ზამთარი.

გური ოჭობაიას შემოქმედებითი საღამო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში

მიმდინარე წლის 13 დეკემბერს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისი რექტორის, პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ზურაბ ხონელიძისა და** ამავე უნივერსიტეტის თანამშრომლის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **იური პაპასქუას** ინიციატივით გაიმართა შემოქმედებითი საღამო თემაზე: **„ცნობიერების ნაკადი გური ოტობაიას ნაწარმოებებში“**.

ასე იუწყებოდა გემოვნებით გაფორმებული აფიშა, მაგრამ თავისი არსით ეს არ იყო ვიწრო სპეცალიზაციით დააქცენტებული ღონისძიება, რომელიც თითქოსდა XX საუკუნის ლირტერატურული მეთოდის, „ცნობიერების ნაკადის“, სტილისტიკაზე მსჯელობით უნდა შემოფარგლულიყო. ეს შეხვედრა გახლდათ შვიდ ათეულ წელიწადს მიტანებული გური ოტობაიას შემოქმედების შემაჯამებელი პირველი თავყრილობა მის ცხოვრებაში. ამ ღონიძიებაზე მრავლად მოვიდნენ გური ოტობაიას კოლეგები და მეგობრები – **ნომადი ბართაია, ზაურ კალანდია, პაატა ნაცვლიშვილი, ტიტე მოსია, ვახტანგ ხარჩილავა, ზაურ მოლაშხია, გია ხუბუა, ბესო ლაგვილავა, ზაურ ნაჭყებია, როსტომ შამუგია, დავით ინჯია, ავთანდილ არაბული, გიორგი ფარულავა**, მამა-შვილი **ზურაბაშვილები – ზურაბ** და **დავით, ლევან მებონია, ვაჟა კაპანაძე, მერაბ ნაჭყებია, მიხეილ ჯიბუტი, მერაბ ჩუხუა, ნუგზარ ანთელავა, დანიელ გახარია, მანანა სოტკილავა, მურმან კვარაცხელია, იური მაკალათია, ირანდა კალანდაძე, თამაზ ხუბუა, დავით სართანია, ნუგზარ ტიბუა,** და სხვანი და სხვანი

ღონისძიება მიჰყავდა ფილოლოგს, გამომცემლობა „რაე“-ს დამფუძნებელს მშვენიერ ქალბატონ **მზია ხაჩიძეს.**

შეხვედრა მუსიკალურ-ვიზუალურად გააფორმა გური ოტობაიას ვაჟიშვილმა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტმა, კომპოზიტორმა **კოკა მარგალმა** (ფეტელავა).

გური ოტობაიას შემოქმედება შთამბეჭდავად წარმოადგინეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორებმა, პროფესორებმა:

ნანა კუციამ (რომანი „სიცოცხლემისჯილი“). მან ყურადღება გაამახვილა ავტორის მწერლურ თვითმყოფად ხელწერაზე. რომ იგი ზედმიწევნით დახვეწილი სტილის ავტორია, ეგრევე მოქმედების შუაგულში რომ გადაისვრის გმირებს და გხიბლავს წარუშლელი ადამიანური დრამებით;

მარინა ტურავამ ისაუბრა (რომანი „როკი“) ძალადობის წინააღმდეგ მიძღვნილი ამ ნაწარმოების თავისებურებაზე, რომ მისი პროტოტიპი **შაქრო ჭითანავა** გასაოცარი გამძლეობით თრგუნავს ადამიანების გასასრესად აღძრულ სახელმწიფო მანქანას.

სოსო სიგუამ ჩვეული პროფესიონალიზმით წარმოაჩინა XX საუკუნის რევოლუციური ლიტერატურული მეთოდის – „ცნობიერების ნაკადის“ არსი და ამ ჭრილში საინტერესოდ წარმოაჩინა გური ოტობაიას ბელეტრისტული პალიტრა.

შემოქმედებითი საღამოს გმირის პუბლიცისტურ ხელწერას გამოეხმაურნენ პოლიტოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა,** ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი **იური პაპასქუა**, საღამოს სტუმრის ძუძუმტე **ოთარ ხუფენია**, გური ოტობაიას მეუღლე, რეჟისორი **ნანა ხუფენია**, ნომინანტის თანაკურსელ-თანასოფლელი **მანანა სოტკილავა,** კომპოზიტორი ვაჟიშვილი **კოკა მარგალი** (ფეტელავა).

გური ოტობაიას მეგრულ ლექსებს ავტორისეული თუ **კობა ჭუმბურიძის** თარგმანითურთ შთამბეჭდავად კითხულობდნენ – ახალგაზრდა მეცნიერი **გიორგი უსანეფაშვილი**, თეატრალური უნივერსიტეტის სტუდენტი, ახმეტელის თეატრის მსახიობი **მალხაზ მიქავა** თუ სკოლის მოსწავლე **დენის ზალდატანიშვილი**.

წლების განმავლობაში გური ოტობაიას ღვაწლი სიტყვით და საქმით სათანადოდ დაუფასა მშობელმა ხალხმა:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ავტორის თანასოფლელმა **ჯემალ გამახარიამ** გულშიჩამწვდომი სიტყვით მიმართა სტუმარს და აფხაზურ-ქართული ურთიერთობის ნორმალიზაციაში გაწეული ამაგისთვის უმაღლესი ჯილდო გადასცა – საპატიო სიგელი.

საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარემ, პოეტმა **მაყვალა გონაშვილმა** ტერენტი გრანელის პრემიით აღნიშნა გური ოტობაიას თვითმყოფადი პოეზია.

ხოლო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, ბატონ **ზურაბ ხონელიძის** სტუმრისადმი მიმართვა მეტედ ამაღელვებელი გამოდგა დამსწრე საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ყველასგან მოულოდნელი იყო გური ოტობაიას უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად არჩევა.

მხცოვანი სახელმწიფო მოღვაწისა და მეცნიერის, თავად სახუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ **ნოდარ ჭითანავას** მიერ სათანადო რეგალიებით შემოსილმა გური ოტობაიამ, მღელვარებისაგან წინასწარ დაწერილი სიტყვის ნაკითხვა ვერაფრით შეძლო. მან მადლობა მოუხადა ყველას – თითოეულ იქ მყოფს თუ მიზეზთა გამო ვინც ღონისძიებაზე მოსვლა ვერ მოახერხეს.

დასასრულს, გური ოტობაიამ იუმორით დაასრულა თავისი გამოსვლა: ერთ პიროვნებას, ხოტბას რომ ასხამდნენ სადღეგრძელოში, სამადლობელი სიტყვა ამნაირად წარმოუთქვამს: ძმებო და მეგობრებო, მე ის კი არ მიკვირს თქვენ ამდენს რომ მაქებდით და მადიდებდით, არამედ – მეც რომ თავს გიქნევდით ამის გამოო.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

შალვა ნათელაშვილი - პროფესია - "სჯუკაჩი"

2019 წლის ნოემბერი. შალიკო ნათელაშვილი ჩაჯდა თვითმფრინავში, შეიკრა ღვედები, მერე შეიხსნა, ცოტახანს წაუძინა, ბიძინა ივანიშვილი ესიზმრა, გაიღვიძა, ამოიხვნეშა, ამ ცხოვრების დედაცო, ღვედები ისევ შეიკრა და ვაშინგტონში, ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში დაჯდა. დიახ, კი არ დაფრინდა, ძალიან უხეშად დაჯდა.

შალიკო აეროპორტიდან წავიდა სასტუმროში, სადაც ძეხვი, ყველი და ფხალი ჭამა, ჩაიც დააყოლა. მერე ცოტახანს წაუძინა, ისევ ბიძინა ივანიშვილი ესიზმრა, რომელიც დოლარებით სავსე „მეშოკზე" იჯდა და მას არ აძლევდა.

ამასობაში გათენდა, ადგა, ხელ-პირი დაიბანა და საქართველოდან წამოღებულ რვეულს გადახედა, რომელსაც ყდაზე ეწერა: „კრიმინალური დოსიე".

შალიკომ თითი დაინერწყვა,

რვეული გადაფურცლა, პირველ გვერდზე წითელი ფანქრით ეწერა: „საქართველოს დე-ფაქტო მმართველის, პრეზიდენტ პუტინის უახლოესი გარემოცვიდან რუსი ოლიგარქის, "გაზპრომის" აქციონერის, შავი ფულის გამთეთრებელი და რუსული იარაღის კონტრაბანდისტ ბიძინა ივანიშვილის შესახებ".

სათაური გრძელი მოეჩვენა, მაგრამ შემცირების დრო აღარ იყო, თეთრ სახლში კონგრესმენები და სენატორები ელოდებოდნენ. სამწუხაროდ, პრეზიდენტი ტრამპი არ იყო სახლში, სიდედრის დაბადების დღეზე წასულიყო ოკლაჰომას შტატში, თორემ ისიც დაელოდებოდა მოუთმენლად.

შალიკომ განაგრძო კითხვა:

„პრეზიდენტ პუტინის საგარეო პოლიტიკას საქართველოში, აგრეთვე დიდწილად ამიერკავკასიის და ირანის მიმართულებით ახორციელებს საქართველოს დეფაქტო მმართველი, რუსი მილიარდერი ბიძინა ივანიშვილი (ოფიციალურად 7 მილიარდი დოლარი, არაოფიციალურად სამჯერ მეტი). მან ქართული პოლიტიკის სათავეში მოსვლა მოახერხა რუსული ფულით ჯერ კიდევ 2012 წელს და პოლიტიკაში შესვლის დავალება მან მიიღო პრეზიდენტ პუტინისგან.

ძვირფასო მკითხველებო, ნება მიბოძეთ, აქ თქვენი ყურადღება შევაჩერო ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე შალიკოს ცხოვრებიდან. ესე იგი, ამ ადამიანს, რომელიც ჩემი თანამებრძოლი მეგონა და სინამდვილეში ეშმაკის თანამებრძოლი ყოფილა, ახასიათებს ლერწმისებური აზროვნება, მისი გონება იქით იხრება, საიდანაც ფულის სუნი უბერავს. მეტიც, როცა მას აწყობს, ბიძინა ივანიშვილი რუსული პროექტია, პუტინის მართული ოლიგარქია, როცა აწყობს – ამერიკული პროექტია. ა, ბატონებო, ნახეთ, რას აცხადებდა ნათელაშვილი 2011 წელს:

„ბიძინა ივანიშვილი ამერიკული პროექტია. ვაშინგტონმა მიიღო ჩამკეტი ზომები, სამომავლოდ ხელისუფლებაში ეროვნული ძალების და უპირველესად "ლეიბორისტული პარტიის" არდასაშვებად. იციან რა, ჩვენი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის მონური თაყვანისცემა ფულიანი კაცისადმი და გამონახეს ახალი – „სოროსი 2". ამჯერად ქართული გვარით – ივანიშვილი, რომელიც ყოველთვის რეჟიმის ფინანსური ბურჯი იყო. ივანიშვილის მილიარდები ინახება ამერიკა-ევროპის ბანკებში, რაც შესაბამისად, ჩვენი ამერიკელი ბატონებისთვის ამ პიროვნების 100%-იან მართვას უზრუნველყოფს".

მოდი და ეხლა გაიგე, ბიძინა ივანიშვილმა დავალება ვლადიმერ პუტინისგან მიიღო თუ ამერიკელებმა გამოგვიგზავნეს მეორე სოროსად? შალიკოს დავთრების თანახმად, ივანიშვილმა დაღუპა არა მხოლოდ საქართველო, არამედ მთელი მსოფლიო თავის აზია, აფრიკა, ლათინურ ამერიკიანად.

„90-იან წლებში სწორედ ივანიშვილმა მიავლინა კრემლში სამუშაოდ რუსული იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი სურკოვი, რომელიც ყველა პროდასავლური პროვოკაციის ავტორია. გამომძიებელ ჟურნალისტთა საერთაშორისო კონსორციუმმა რამდენიმე წლის წინ, ე.წ. პანამის დოსიეს ფორმატში ვირჯინიის კუნძულებზე აღმოაჩინეს ბიძინა ივანიშვილის დეკლარაციებიდან დამალული კომპანია. იქ სხვა რუსი ოლიგარქების კომპანიებთან ერთად შავი ფულის ოდენობა აჭარბებდა 2 მილიარდ დოლარს. აღნიშნული ზონა ცნობილია როგორც შავი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დამფინანსებელი სივრცე".

მოდით, აქაც შევაჩეროთ პატივცემული შალიკო და სამართალს პური ვაჭამოთ. ესე იგი, ჩვენი ლერწამისებურად მოაზროვნე პოლიტიკოსი გვიყვება 1990-იანი წლების ამბებს, თურმე სამოქალაქო ომის დროს ივანიშვილს ანგოლაში შეუტანია იარაღი და ამოუწყვეტია მილიონობით ადამიანი. საფრანგეთში აღძრეს სისხლის სამართლის საქმე, ყველას დედა უტირეს, მიტერანის შვილსაც, მაგრამ ივანიშვილს ხელი არ დააკარეს, რადგან პოლიტიკაში მოსვლით გარკვეული იმუნიტეტი შეიქმნა ფრანგული მართლმსაჯულებისგან.

თუ ასე იყო, მაშინ 2008 წელს, არჩევნებამდე ორი დღით ნათელაშვილი ადრე „რეიზა" ეძახის, პრემიერ-მინისტრად? ა, ბატონებო, ნახეთ, რას აცხადებდა შალიკო იმ დროს:

„პრემიერ-მინისტრის პოსტს ვთავაზობ ცნობილ მეცენატს და ბიზნესმენს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ბატონ ბიძინას ვთხოვთ, დაიწყოს კონსულტაციები ყველა ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიასთან ეროვნული ერთიანობის კოალიციური მთავრობის შექმნაზე, რომელსაც შემდგომ მოიწონებს უწმინდესი და უნეტარესი, აგრეთვე სრულიად საქართველოს წმინდა სინოდი. ეს იქნება ჭყონდიდელის საქართველოს კონცეფციის განვითარება, რასაც ჩვენ ვპირდებით მოსახლეობას. ჩვენ მიგვაჩნია, რომ კანდიდატურა, რომელიც შევთავაზეთ საქართველოს, არის ზეპარტიული, არის სრულიად მისაღები ყველა ჩვენი მოქალაქისთვის. მან გაიარა გზა რიგითი ადამიანიდან აი ასეთ სიმაღლეებამდე, ჩაატარა ქველმოქმედება უანგაროდ ისე, რომ არ მოუთხოვია არანაირი ტაში, თანამდებობა და არ ჰქონია პოლიტიკაში მოსვლის აკვიატებული სურვილი".

ახლა იძახის, თუ ივანიშვილი პრემიერობაზე დამთანხმდებოდა, მე პრეზიდენტი გავხდებოდი და ჩემი მფარველობის ქვეშ საშიში აღარ იქნებოდაო. გინდათ, აგიხსნათ, რა ქვეტექსტი იკითხება ამ სულელურ ფრაზაში? ესე იგიო, იძახის „ჭკვიანი" შალიკო, მე პრეზიდენტი ვიქნებოდი, ხოლო ბიძინა ჩემი „კასირი" გახდებოდა, მარტო ფულს დახარჯავდა, სადაც მივუთითებდიო.

მეგობრებო, ამაზეც კარგად იცინეთ, ხომ? მაშინ ნება მიბოძეთ, ყურადღება მიგაქცევინოთ შალიკოს მორიგ სიცრუეზე, რომელიც რვეულში აქვს ჩამოყალიბებული და ვითომ ამერიკელ კონგრესმენებს დაუტოვა წასაკითხად. „ვინაიდან რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შესახებ კონგრესის მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, ამერიკის ფინანსთა სამინისტრომ სენატსა და წარმომადგენელთა პალატაში უნდა შემოიტანოს იმ რუსი ოლიგარქების სია, ვინც ატარებენ პუტინის საგარეო პოლიტიკას და დაკავებული არიან კრიმინალური საქმიანობით. უმორჩილესად გთხოვთ, გაგვიწიოთ შუამდგომლობა, რათა ბიძინა ივანიშვილი შეყვანილი იქნას ამ სიაში, გაიყინოს მისი საბანკო ანგარიშები და კომპანიების საქმიანობა ამერიკასა და ევროპის ქვეყნებში. ეს არის ქართველი ხალხის თხოვნა. რადგანაც ამ დიქტატორის განეიტრალება რუსული მილიარდებისა და კრემლის უდიდესი მხარდაჭერის პირობებში სტრატეგიული მოკავშირე ამერიკის შეერთებული შტატების ამგვარი მხარდაჭერის გარეშე ჩვენთვის უაღრესად რთულია".

აუუუუუუ... ძაან მაგრად გაბუქა შალიკომ, უკან დასახევი გზა საერთოდ აღარ დაუტოვა ბიძინა ივანიშვილს – აი, მხილებაც ასეთი უნდა!

ااااااღსდექ, საქართველოვ!

რადგან ივანიშვილმა მთელი ჩვენი საგარეო პოლიტიკა დაუქვემდებარა კრემლის მოთხოვნებს. დიახ, მან აიძულა ირაკლი ღარიბაშვილი, ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე. დიახ, ეს არის ივანიშვილის მიერ შემუშავებული მზაკვრული გეგმა, რათა უახლოეს ხანში პუტინთან ერთად აღადგინოს საბჭოთა კავშირი და მის დაქვემდებარებაში შეიყვანოს ევროკავშირი. რაც შეეხება ნატოს, აქაც ამზადებს ივანიშვილი დიდ მზაკვრობას, მალე ის ალიანსის ჯარებს შეუერთებს რუსეთის არმიას და დაიწყებს ომს აზიისა და აფრიკის წინააღმდეგ. იმის ნაცვლად, რომ დაიბრუნოს აფხაზეთი და სამაჩაბლო, პირიქით, ეწევა არნახულ ბორდერიზაციას. ესეც არ იკმარა და მან გზა გაუხსნა რუსულ ტვირთებს სომხეთის, ირანისა და თურქეთის მიმართულებით, რაც გამიზნულია ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების დასაჩოქებლად. კიდევ გავაგრძელო? რაღა აზრი აქვს? მაშინ, როცა საქართველოში ლამის ყველა ტელევიზია ოპოზიციურია, შალიკო იძახის, ყველა მედიასაშუალება ბიძინამ მიიტაცაო... მაშინ, როცა კაცმა სამი საკუთარი არხი დახურა, ეს იძახის, ყველა მედიასაშუალება მისიაო.

სხვათა შორის, შალიკოს ხელწერა ძალიან ჰგავს ბოლშევიკების ხელწერას, ძაან მაგარ „დანოსებს" რომ წერდნენ კრემლში გასაგზავნად. პათოსი, სტილი და ბრალდებების შინაარსი იგივეა, თუ ბიძინა თხრის გვირაბს „ჩერეზ" სომხეთი, ირანი და თურქეთი, რათა დაამხოს ევროპის ჰეგემონია, მაშინ თხრიდნენ გვირაბს „ჩერეზ" ბომბეი ლონდონამდე.

●

შალიკომ რვეული პალტოს ჯიბეში ჩაკუჭა. ადგა, ერთი ღრმად ამოისუნთქა, ფეხსაცმელები ამოიცვა და გავიდა. კონგრესში არავინ დახვდა. სტივ რასელიც სადღაც წასულიყო, ზუსტად ვერ უთხრეს, ჩვენი აზრით, ეგეც სიდედრის დაბადების დღეზეაო, თუ რამე გაქვთ გადასაცემი, დაგვიტოვეო. სხვა რა გზა იყო? დატოვა. რამდენიმე დღის შემდეგ პრესაში გამოჟონა „კულუარულმა" ინფორმაციამ, რომლის ავტორიც, ცხადია, შალიკოა, რომ ის შალიკო 20 კონგრესმენს და სენატორს შეხვდა. ისინი დაპირდნენ, მის თხზულებას გულდასმით წაიკითხავენ, ყურადღებით დააკვირდებიან და ბიძინა ივანიშვილს აუცილებლად დასჯიან.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მინაწერი: ამ წერილს რომ ვწერდი, შალიკოსადმი მიძღვნილი ერთი ლექსი გამახსენდა:

„შალვა ვოშინგტონს ეწვია,
მასპინძლად დახვდა რასელი
რაელი თურმე ყოფილა
ნათელაშვილის კლასელი.
შალვა წერილი მიჰქონდა
ივანიშვილის დასმენის
შორიდან მიშა ამხნევებს,
შარვალში ბევრჯერ ჩამფსმელი.
თავისი ქვეყნის მტერი და
ერის ტალახში გამსვრელი.
ავაჰმე, ერო, ბედკრულო,
ამათგან, აბა, რას ელი.
– თავისი ქვეყნის დამსმენებს
ყველას მოვუხან დამსმელი!"

მე მგონი, ყველაფერია ნათქვამი...

სამწუხაროდ, შალიკო და მისნაირები ვერ ხვდებიან, რომ ბიძინა ივანიშვილისადმი პერსონალური ზიზღის გამო თავის სამშობლოს და მთელ ქართველ ხალხს მტრად რომ მოეკიდნენ...

საუკუნოვანი საახალწლო ჭრაღიციები და საქართველოს კუთხეების საახალწლო რიჭუალები

ახალი წლის დადგომამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა. თბილისში საახალწლო ილუმინაციები ჩართულია და ქუჩებში საახალწლო განწყობა იგრძნობა, თუმცა სანამ საახალწლო სუფრასთან შევიკრიბებით, გავიხსენოთ როგორ ხვდებოდა ჩვენი ქვეყანა ახალ წელს იმ დროს, როცა არც საახალწლო ილუმინაციები და არც ფეიერვერკები არსებობდა..

სამეგრელოში ახალ წელს თოფების სროლით ეგებებოდნენ. ამის შემდეგ საგანგებოდ, საახალწლოდ გამომცხვარ ოთხ ხაჭაპურს გიდელში აწყობდნენ და გოგონას მარნისაკენ ატანდნენ. ზუსტად ამ დროს, პატარა ბიჭს ერთი დოქი ღვინო მარნიდან გამოჰქონდა და გოგონას შესახვედრად მიემართებოდა. შეხვედრისას იმართებოდა ჭიდილი, თუ ბიჭი გაიმარჯვებდა, იმ წელიწადს პურის და ღვინის მოსავალი კარგი იქნებოდა, ხოლო, თუ გოგონა – აბრეშუმისა და ყველა იმ მცენარესი, რომელთაც ქალი უვლიდა.

სამეგრელოში დღემდე შემორჩენილია „ტკბილეულით დაბერების“ ტრადიცია – ახალი წლის დილას ოჯახის უფროსი სახლიდან გარეთ გადის, ხელში მორთული ჩიჩილაკი უჭირავს და რიტუალს ატარებს, რის შემდეგაც სახლში შემოდის, ჩიჩილაკს კუთხეში მიაყუდებს და საახალწლო ტაბლას მიუჯდება, რომელზეც ღორის თავი, ხაჭაპურები, ხილი და სხვ სანოვაგე ალაგია. საუზმის დაწყებამდე მეკვლე ოჯახის ყველა წევრს ტკბილეულით „აბერებს“.

გურიაში შობა-ახალ წელს კალანდობას უწოდებენ და ჩიჩილაკს რთავენ, რომელიც წმინდა ბასილის სახელთან არის დაკავშირებული. გურიაში მას „ბასილის ფაფუკ წვერებსაც“ ეძახიან.

„კალანდას“ გურიაში მამლის ყივილზე მთელი ოჯახი ფეხზე დგება. უფროსი ჯერ მარანსა და საბძელს მოინახულებს, შემდეგ შევა სახლში და წითელი ღვინით ქვეყანასა და ოჯახს დალოცავს. ამის შემდეგ მამაკაცები ღორის თავს, ბასილას (საახალწლო კვერი), საახალწლო გობს სანოვაგით დატვირთულს, მორთულ ჩიჩილაკს და ცარიელ ჩაფს იღებენ და მარნისკენ გაეშურებიან.

ამის დასასრულს პროცესია სახლისკენ გაემართება და მეკვლეს კარებს სამჯერ დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „კარი გამიღე! სახლიდან სამჯერ უპასუხებენ „რა მოგაქვს?“ ამაზე მეკვლე უპასუხებს მთელი რიგი სანატრელი საგნების ჩამოთვლით. შემდეგ კარებს უღებენ და იწყება საახალწლო მილოცვები.

იმერეთი საქართველოს სხვა კუთხეებისაგან თავისი სამზარეულოთი და უგემრიელესი კერძებით გამოირჩევა, რაც საახალწლო სუფრაზე ყველაზე კარგად ჩანს. მეკვლის მოსვლამდე ოჯახის უფროსი ხორაგით სავსე ხონჩით სამჯერ წაღმა შემოუვლის სახლს და უფალს გამრავლებას, ჯანმრთელობას, ხვავს და ბარაქა შესთხოვს. ხონჩაზე ღორის თავი, მწვადი, მოხარშული დედალი, ხაჭაპური, ლობიანი, ღერღილის პური და ტკბილი კვერები ულაგიათ.

აჭარაში საახალწლო სუფრის აუცილებელი ატრიბუტია აჩმა და ბაქლავა. მარცვლეული და განსაკუთრებით ხორბალი მთელ საქართველოში ნაყოფიერებისა და ბარაქის სიმბოლოდ ითვლება, ამიტომ აჭარაშიც ბარაქის მოსატანად ოთახის ყველა კუთხეში მარცვლეულს ყრიან და თან ილოცებიან.

რაჭაში ახალ წელს განსაკუთრებულად აღნიშნავენ. საახალწლოდ აქ ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს კი ძველი წლისთვის. დიასახლისები აუცილებლად აცხობენ ადამიანის სახის „კაც-ბასილას“ და ერთ დიდ პურს „კერია-ბერია“-ს, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას „მაკვრიელი“ ანუ მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით „შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის და კარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“, შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერია“-ს უნაწილებენ.

სვანეთში ახალი წლის ღამეს სხვადასხვა სანოვაგეს გიდელში ალაგებენ და სახლის გასავალ კარებზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარებზე დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გააღეთ). სვანურ საშობაო სუფრაზე მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხორცეულს. აქ შობას საკლავის გარეშე არ აღნიშნავენ. იკვლება ხბო, ხარი, უმეტესად კი ღორი. საშობაო სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს კუბდარი, ხაჭაპური, ფხლოვანი, ფეტვრა. ტრადიციულად ხარშავენ ხბოს ან დეკეულის ბეჭს, ამზადებენ ღორის კუპატებსა და ზისხორას, რომელიც წარმოადგენს უძველეს სვანურ კერძს.

ხევსურეთში ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები (ხატის მზარეული) ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი.

ქართლში საახალწლოდ აცხობენ ბასილას ქანდაკებას, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითოს შინაური ცხოველებისთვის. გამთენიისას ოჯახის უფროსი ხონჩაზე ღორის თავს დადებს, ირგვლივ ბედის კვერებს შემოუწყობს და ზედვე ბასილას ქანდაკებას დაასვენებს. ხონჩის ერთ გვერდზე "დასაბერებლად" თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს ჯამით მოათავსებს და ანთებულ სანთლებს მიაკრავს. ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს" უწოდებენ.

კახეთში ახალ წელს ოჯახის ყოველი წევრისთვის ჩამიჩიან პურებს, იგივე ნაზუქებს აცხობენ. ახალი წლის ღამეს ჩურჩხელებს, ჩირს, ღორის თავს ჩამიჩიან პურებთან ერთად ხახალაზე აწყობენ და თან არაყსა და ღვინოსაც მიუდგამენ. გამთენიისას ოჯახის უფროსი გარეთ გადის და სახლს სამჯერ შემოუვლის. შინ შემობრუნებისას კი ოჯახის წევრებს ახალ წელს ულოცავს და საგანგებოდ მომზადებული ჯამიდან ყველას თითო ლუკმა პურს უდებს პირში.

რაც შეეხება მეკვლის ფენომენს, მეკვლეს მთელ საქართველოში დიდი სიფრთხილით წინასწარ ირჩევენ და ოჯახიც საგულდაგულოდ ემზადება მის დასახვედრად.

„შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი – კვალი ანგელოზისა", ასეთია მეკვლის დალოცვა. სხვადასხვა კუთხეში ეს რიტუალი სხვადასხვანაირი იყო. აღმოსავლეთ საქართველოში მეკვლე ვენახში შედიოდა და საგანგებოდ შემონახულ ყველაზე დიდ მტევანს, კარგ „ყოჩ ვაზთან" დაწურავდა იმის ნიშნად, რომ წელი მოსავლიანი ყოფილიყო. სხვა შემთხვევაში, მეკვლეს ხორბალი შემოჰქონდა და იატაკზე მთესველივით ფანტავდა.

საახალწლო მორთულობა – დასავლეთ საქართველოს ახალ წელს უმეტესად, ჩიჩილაკს დგამდნენ, აღმოსავლეთში კი – ნაძვის ხეს, რომელიც სიცოცხლის, მარადიულობის სიმბოლოა. ჩიჩილაკს ძირითადად თხილის ხისგან ამზადებენ და მერქნის ანათალებს ბურბუშელას ხილითა და „ფოჩიანი კამფეტებით" რთავენ. ჩიჩილაკის მოსართავად კუნელსაც იყენებდნენ, რომელსაც ოთახში ტყისა და ბუნების ეფექტი შემოაქვს. ჩიჩილაკის თავი ოთხადაა გაყოფილი, ჭრილში ჯვარს სვამენ და ამ ჯვარზე ვაშლებს ბროწეულებს კიდებენ. ბროწეული სიმრავლის სიმბოლოა, ვაშლები კი, სიჯანსაღის.

უფრო პოპულარული დასასვლელი სანტა კლაუსი გახდა, თუმცა უცვლელი რჩება დღესასწაულის მთავარი პრინციპი – დღესასწაულს ისე უნდა შევხვდეთ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოუტანოს.

„საერთო გაზეთი“ დამდეგ ახალ წელს გილოცავთ!

გადავარჩინოთ პატარა ელენე!!!

პატარა ელენე მუშკუდიანი, ლეიკემიის უმძიმესი ფორმით არის ავად. ამჟამად მკურნალობს თურქეთში. თქვენი თანადგომის და გულისხმიერების იმედი გვაქვს, მეგობრებო!

რედაქტორი : ვახტანგ ხარჩილავა.
სარედაქციო კოლეგია: კობა არაბული, ლევან ბრეგაძე, ლაშა გვასალია, ანზორ სიფრაშვილი, ბათუ დანელია, ირაკლი ვაშაყმაძე, ზურაბ თორია, ერეკლე საღლიანი, გური ოტობაია.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com

საკონტაქტო ტელეფონები: 593 44 04 01; 595 57 99 43.